საარჩევნო ბიზნესი ქუთაისურად A2

„სავალუტო ფონდი ჭკუას ვერ სწავლობს„ A3

მსხვილი ყაჩაღობა ანტიკრიმინალური ოპერაციის პარალელურად A4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 28 აგვისტო, 2002 წელი. №87

ფასი 50 თეთრი

# პრეზიდენტი პანკისში

ზაზა ფაჩუაშვილი

*პრეზიდენტის ვერტმფრენი სოფელ მატანის სპორტულ მოედანზე დაჯდა. მის გარშემო მოწიფული სიმინდის ყანის ყოველ მეათე ასფურცელასთან ასიარაღასხმული მეომრები აზიდულიყვნენ. მთელი გზა ახმეტიდან პანკისის ბოლომდე ისეთი პოლიციელებით მოერთოთ, რომლებსაც მხედრული სალმის მოცემა არ ეზარებოდათ. გზის გასწვრივ კაკალთა ძირებქვეშ ხალხი "დაესტუკებინათ". გარშემო კი ისეთი საზოგადოებრივი წესრიგი დაემყარებინათ, რომ მოსახვევებში ცხვრის ფარა და ნახირი გაუნძრევლად იდგა. გამრავლებულ ბლოკ-პოსტებზე იმდენი ახალი ტომარა დაელაგებინათ, ჩინეთის წყალდიდობას ეყოფოდა. ჯარი და საბრძოლო ტექნიკა ერთ სხეულად გადაქცეულიყო. ყველა ელოდა ბრძანებას – "სმენა", მაგრამ პრეზიდენტი პირველ რიგში სამძიმარზე წავიდა.*

### ჭირისუფალნი

გუშინ მატნელი გურამ ოტიაშვილის დაკრძალვა იყო. მისი, ბომბებით დასახიჩრებული ცხედარი ჩოლოყაშვილების საგვარეულო ციხის პატარა, მშვენიერ ტაძარში ესვენა. ციხე სავსე იყო ხალხით და ქვეყნის ხელისუფლებით. ეს არ ჰგავდა მხოლოდ ერთი კაცის ჭირისუფლობას. შავით მოსილი დედების ცრემლში მთელი ღირსებაშელახული ქვეყანა ჩანდა.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მათ ნაშუადღევს შეუერთდა. გადატვირთული სამუშაო დღის მიუხედავად, იგი სამგლოვიარო მიტინგსაც დაესწრო და სამძიმრის სიტყვაც თქვა. ეს აღარ განმეორდებაო, - გაისმა ბოლოს მისი ბაგიდან და მაშინ გაირინდა ციხე. სიჩუმით ითქვა, გვჯერაო. სხვა რა გზა იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე



ასე ისმენდნენ ჭირისუფლები პრეზიდენტის სამძიმარს

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

# რუსი სამხედროები საქართველოს არ სჭირდება

სოფო ბუკია

საქართველოს პარლამენტში საკუთარი ინიციატივის გატანით, ოპოზიციამ არც თუ მცირე საზრუნავი გაუჩინა მთავრობას. დადგენილება, რომელიც პარლამენტმა დიდი გაჭირვებით მიიღო, აღმასრულებელ ხელისუფლებას რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანას, დსთ-ს კოლექტიური ძალებისთვის მანდატის შეწყვეტასა და დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსაციას ავალებს.

"გაერთიანებული დემოკრატების" აზრით, აღნიშნულ დადგენილებას მთავრობა გვერდს ველარ აუქცევს და სულ მალე მისი გათვალისწინება მოუწევს. პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე ამბობს, რომ, წინამორბედი დოკუმენტებისგან განსხვავებით, ბოლო დადგენილება ისეთი ფორმითა და ტონითაა შედგენილი, აუცილებლად შესრულებადია.

გუშინ ამ ისტორიული დადგენილების ერთგულება "გაერთიანებულმა დემოკრატებმა" ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ძალების შტაბთან გამართულ საპროტესტო აქციაზე გაახმოვანეს და რუს "სალდათს" საქართველოდან აბარგება ურჩიეს.

"რუსეთის აგრესიას – არა!" - ამ და მსგავსი შინაარსის ტრანსპარანტებით, საქართველოსა და "გაერთიანებული დემოკრატების" დროშებით ხელდამშვენებული ჟვანიას თანაგუნდელები, საყვირების დახმარებით, ერთი საათის განმავლობაში არღვევდნენ რუსი სამხედროების მყუდროებას. შტაბიდან "დემოკრატებთან" სასაუბროდ არავინ გამოსულა, ამის დიდი სურვილი არც აქციის ორგანიზატორებს ეტყობოდათ, რადგან, გია ბარამიძის თქმით, მათთვის საინტერესო პირი ამ შენობაში არავინაა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ალექსეი მიტროფანოვი: "შევარდნაძე ჩეჩნეთთან ომით პოზიციებს გაიმაგრებს, ოპოზიციას კი განაიარაღებს"

რუსუდან ნიკურაძე

საქ. კორ. მოსკოვში

მივიღებთ თუ არა საქართველოში მეორე ჩეჩნეთს? მოჰყვება თუ არა პანკისის მოვლენებს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა? რა როლი აქვს განკუთვნილი საქართველოს ამერიკა-რუსეთის სტრატეგიულ ურთიერთობებში? - ამ და სხვა შეკითხვებზე "24 საათისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ

გაგრძელება A4 გვერდზე

## "მშვიდობით, კავკასია!" - რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ

გიორგი ხელაშვილი

*პანკისის დაბომბვის შემდეგ განვითარებულ საერთაშორისო მოვლენებს რუსეთის პრესაში გაღიზიანებული (შეიძლება ითქვას, ისტერიული) გამოხმაურება მოჰყვა. რუსეთის პოლიტიკური წრეები თავიდან ვარაუდობდნენ, რომ "ტერორიზმის" ჯადოსნური ტერმინის დახმარებით პანკისის პრობლემას საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. მაგრამ სინამდვილე სხვაგვარი აღმოჩნდა – რუსი ანალიტიკოსები და ჟურნალისტები დღეს უკვე ხაზგასმით (და გულდაწყვეტით) ამბობენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას მოსკოვისათვის კავკასიური კარტბლანში ჯერ არ მიუცია. რუსული კომენტარების ძირითადი თემები პანკისის დაბომბვაზე ამერიკელების გამოხმაურება და პანკისის ხეობაში ქართული სპეცოპერაციის დაწყებაა.*

**"რუსეთი უმსხვილესი ოპერაციის ზღურბლზე დგას, რომელსაც შეერთებული შტატები მის ცხვირწინ ამზადებს. კერძოდ – შეერთებული შტატები კავკასიაში შეჭრას აპირებს,"** – ასე დაიწყო "ნეზავისიმაია გაზეტას" გუშინდელი მოწინავე სტატია. სტატიის ავტორის აზრით, ოპერაციის მიზანი არა მარტო საქართველოსა და აზერბაიჯანზე, არამედ ჩეჩნეთზე კონტროლის დამყარებაცაა. წერილის ისტერიული ტონი დასავლეთის პრესის სამ ფლაგმანში – "თაიმსში", "ფაინენშელ თაიმსსა" და "ვაშინგტონ პოსტში" გამოქვეყნებულ სტატიებს ემყარება, რომლებშიც **"დაწყებულია ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული კამპანია რუსეთის არმიის დისკრედიტაციისა და საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის (ამერიკული სპეცდანიშნულების ჯარების) რეგიონში შეყვანის მიზნით".**

"კომერსანტის" აზრით, თეთრი სახლის მკაცრი განცხადება, პანკისის დაბომბვასთან დაკავშირებით, მოწმობს, რომ **"ვაშინგტონმა თბილისსა და მოსკოვს შორის დავაში დამოუკიდებელი არბიტრის როლი დაკარგა".** იგულისხმება, რომ ვაშინგტონმა თბილისის მხარე ღიად დაიკავა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ენერგეტიკული საზოგადოება„ ენერგოსისტემის უცხოელებისთვის გადაცემას აპროტესტებს

### სოლომონ პავლიაშვილი ირლანდიელებს ენერგეტიკოსებისთვის სოციალურ გარანტიათა უზრუნველყოფას მოსთხოვს

მაია ურუშაძე

*ირლანდიური კომპანია ESBI International-მა "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ელექტროგადაცემის" ხელმძღვანელობას თანამედროვე სტანდარტების კაბინეტები და მანქანები შეუკვეთა, რასაც "ენერგეტიკული საზოგადოების" მძაფრი რეაქცია მოჰყვა. როგორც ცნობილია, ირლანდიური კომპანია ამ ორგანიზაციებში, ხუთწლიანი მართვის უფლებით, უკვე სექტემბრის დასაწყისში აპირებს შესვლას.*

"ენერგეტიკული საზოგადოების" წარმომადგენლებმა, "ელექტროდისპეტჩერიზაციისა" და "ელექტროგადაცემის" თანამშრომლებთან ერთად, გუშინ ქონების მართვის სამინისტროსთან პიკეტი გამართეს, რის შემდეგაც ისინი ქონების მართვის მინისტრმა სოლომონ პავლიაშვილმა საკუთარ კაბინეტში მიიწვია.

**"აქსიომაზე არ მსჯელობენ,** – აცხადებს "ელექტროდისპეტჩერიზაციის" ჯერჯერობით ისევ გენერალური დირექტორი ბორის კოჟორიძე, – **ირლანდიელების საქართველოში შემოსვლა უკვე გადაწყვეტილია და ახლა "ენერგეტიკული საზოგადოების" აქციები მხოლოდ პოპულიზმია."**

შეგახსენებთ, რომ თავიდან "ენერგეტიკული საზოგადოების" აღშფოთება ESBI-სთან გაფორმებულმა იმ ხელშეკრულებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც კომპანიამ "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" 40 000 თანამშრომლისთვის სამუშაო ადგილის შენარჩუნების პასუხისმგებლობა თავის თავზე არ აიღო. **"საქართველოს მაღალკვალიფიციური კადრები ჰყავს. ჩვენ ენერგოსისტემის მართვაში უცხოელების**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | |
| ქუთაისი | 24 | |
| ბათუმი | 23 | |
| სოხუმი | 25 | |
| ფოთი | 24 | |
| თელავი | 19 | |
| ზუგდიდი | 26 | |
| გორი | 19 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1950 |
| ევრო | 2.1274 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3349 |
| რუბლი | 0.0695 |

## ავტო-საგზაო შემთხვევა ვაჟა-ფშაველას გამზირზე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

წუხელ, 10.30 წუთზე ვაჟა-ფშაველას გამზირზე, პოლიციის განყოფილების წინ მოხდა ავტოავარია: ერთმანეთს შეეჯახა თეთრი ფერის ნივა (MMW 168), რომელსაც მართავდა პოლიციის თანამშრომელი, და "ფორდ სიერა" (DSS 880), რომელშიც ორი მგზავრი იჯდა. ორივე მანქანის მძღოლი მძიმე მდგომარეობაში გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, "ფორდ სიერაში" მჯდომი ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

## საქართველო - მეორე კუვეიტი?

### "ანადარკო" შავი ზღვის ნავთობრესურსებს ასაიდუმლოებს

სოფო კვინტრაძე

ეკონომიკური ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ შავი ზღვის შელფში, სულ მცირე, ერთი მილიარდი ტონა ნავთობის რესურსია. ცოტა ხნის წინ უცხოურმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ შავ ზღვაში ამერიკულმა კომპანია "ანადარკომ", რომელიც ნავთობსაძიებო სამუშაოებს აწარმოებს, ზღვის შელფურ ნაწილში ნავთობის დიდი მარაგის აღმოჩენის შესახებ განაცხადა. ინფორმაციის თანახმად, ახალი საბადოს მარაგი 600 მილიონ ტონას აღწევს.

ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანია "ანადარკო" საქართველოში 2000 წლიდან ეძებს ნავთობს. მის განკარგულებაში შავ ზღვაზე სამი სალიცენზიო ბლოკია, სადაც კომპანია გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევებს ატარებს. ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სააგენტოს თავმჯდომარის გია ითონიშვილის ინფორმაციით, "ანადარკოს" მიერ განხორციელებული კვლევა ძალზე წამახალისებელი აღმოჩნდა შემდგომი სამუშაოების გასაგრძელებლად. ამ ეტაპზე, "ანადარკო" პარტნიორ-ინვესტორს ეძებს, რომელიც შავ

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 საზოგადოება A4 სამართალი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

გაზეთ "24 საათის" რედაქცია მართლმადიდებელ მრევლს ულოცავს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს - "მარიამობას"

**თბილისი.** გუშინ, გვიან ღამით, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა, სააგენტო "რია-ნოვოსტიზე" დაყრდნობით, გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარზე მოხდა ინციდენტი. რუსების მტკიცებით, მოსკოვის დროით 18 საათსა და 10 წუთზე, საქართველოს მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს რუს მესაზღვრეთა რაზმს. რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო სამსახურის პრესცენტრის ცნობით, შეტაკება მოხდა კერიგოს ულელტეხილზე, გირევის საგუშაგოს მახლობლად.

"რია-ნოვოსტი", აგრეთვე, იტყობინება, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა ევგენი ბოლხოვიტინმა ტელეგრამა გაუგზავნა საქართველოს სასაზღვრო დეპარტამენტის შტაბს, რომელშიც ეს ინციდენტი შეაფასა, როგორც პროვოკაცია.

საქართველოს სასაზღვრო დაცვის შტაბის მორიგემ, შუაღამისას სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ ასეთი სახის ინფორმაცია არ აქვს და შტაბში რუსი კოლეგებისგან არავითარი ტელეგრამა არ მიუღიათ. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** "პანკისის ხეობაში გამორიცხული არ არის პროვოკაციები რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან, რომლებიც მიმართული იქნება ამ რეგიონში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩაშლისაკენ," - განუცხადა პრაიმ-ნიუსს "ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის" გენერალურმა დირექტორმა სურხო იდიევმა.

მისი თქმით, რუსეთის პროვოკაციები პანკისში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა, მაგრამ იქ საქართველოს შინაგანი ჯარების შეყვანის შემდეგ, მათი მასშტაბები შეძლება გაიზარდოს.

სურხო იდიევის ვარაუდით, დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით რუსეთის სპეცსამსახურებს შეუძლიათ, თავისი სპეციალური აგენტები გამოიყენონ, რომლებიც არც თუ ცოტა არიან როგორც ჩეჩნებს, ისე ქართველებს შორის.

როგორც მან აღნიშნა, რუსული მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი პანკისში იმყოფება, სინამდვილეს არ შეესაბამება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჩეჩენი ლტოლვილები მზად არიან, დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს ხელისუფლებას პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარებისთვის," - განუცხადა პრაიმ-ნიუსს "ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის" გენერალურმა დირექტორმა სურხო იდიევმა.

მისი თქმით, ლტოლვილები გაგებით მოეკიდნენ კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლის ღონისძიებებს და აღნიშნულთან დაკავშირებით უარყოფითი რეაქცია არ ყოფილა.

როგორც სურხო იდიევმა აღნიშნა, ლტოლვილები სახლების შემოწმების და ჩხრეკის წინააღმდეგნი არ იქნებიან. მისი თქმით, ჩეჩნებიც და ადგილობრივი ქისტებიც მზად არიან, ჩაერთონ სპეციალურ ოპერაციაში, თუ მათ ამის თაობაზე საქართველოს ხელისუფლება მიმართავს.

ამავე დროს, მან მთლიანად გამორიცხა ლტოლვილების პანკისის ხეობიდან გადასვლა რომელიმე მესამე ქვეყანაში.

"ეს შეუძლებელი იქნება, რადგან ლტოლვილებს არა აქვთ არც დოკუმენტები და არც სახსრები გასამგზავრებლად, ამასთან, სხვა ტერიტორიაზეც მათ უსაფრთხოების გარანტიას ვერავინ მისცემს", - თქვა სურხო იდიევმა, - "ლტოლვილების ერთადერთი სურვილია სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ჩეჩნეთში ომის დასრულებამდე ეს შეუძლებელია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვასილი პრიზემლინმა სამშაბათს განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალების მისიის შეწყვეტას ითვალისწინებს, არ შეიძლება სამხრეთ ოსეთის არაღიარებულ რესპუბლიკაზე გავრცელდეს.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში მან თქვა, რომ 1992 წლიდან კონფლიქტის ზონაში მყოფი შერეული სამშვიდობო ძალების რუსული, ქართული და ოსური ბატალიონების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ შერეული საკონტროლო კომისიის ყველა მონაწილის - მოსკოვის, თბილისის, ვლადიკავკაზის და ცხინვალის თანხმობის შემთხვევაში.

"ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატთან, სადაც იგი შეიძლება ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით შეწყდეს", - თქვა მან.

ვასილი პრიზემლინმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთში მშვიდობისმყოფელების ყოფნის აუცილებლობას ყველა მხარე აღიარებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ნიუ-იორკი.** საქართველოს ელჩი გაერო-ში რევაზ ადამია რუსეთს სახელმწიფო ტერორიზმში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მოსკოვმა დაარღვია გაერო-ს წესდება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე საჰაერო რეიდები განახორციელა. ამასთან, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, ქვეყანაში ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თხოვონ თუ არა გაერო-ს რუსეთზე რაიმე ზემოქმედების განხორციელების შესახებ.

"რუსეთის ქმედება - სახელმწიფო ტერორიზმის შეხსენების მკვეთრი გამოხატულებაა, რომელსაც დიდ-ხანს იზიარებდა მისი წინამორბედი საბჭოთა კავშირი" - განაცხადა ადამიამ პრესკონფერენციაზე. მან მოსკოვის აქციას სუვერენული საქართველო წინააღმდეგ აგრესია უწოდა. "ვიმედოვნებ, რომ გაერო მისცემს შესაფერის შეფასებას საერთაშორისო ნორმებისა და გაერო-ს წესდების ამ აშკარა დარღვევის ფაქტს," - აღნიშნა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს რეიტინგით, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსით საქართველო 76-ე ადგილზეა - ყაზახეთსა და მალდივის კუნძულებს შორის.

ამ სიის თავშია ნორვეგია, მას მოსდევენ ავსტრალია, კანადა, შვედეთი, ბელგია, აშშ, ისლანდია, ნიდერლანდები, იაპონია და ფინეთი.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ბელარუსს, რუსეთსა და სომხეთს. საქართველოს უსწრებენ აგრეთვე, უკრაინა და ყახაზეთი, რომლებსაც რეიტინგულ სიაში 74-ე და 75-ე ადგილები უკავიათ. ბოლო 162-ე ადგილზეა სიერა-ლეონე.

რეიტინგი შედგენილია სამი მაჩვენებლის - მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის, მოქალაქეთა განათლების, ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზის საფუძველზე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიმშილობის აქცია დაიწყო ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრმა ჯემალ გამახარიამ მოთხოვნით - სასწრაფოდ შეიქმნას ერთობლივი კომისია "კანონიერი და ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის" მიზნით მოლაპარაკებების გასამართავად. როგორც გამახარიამ განაცხადა, კომისიის შემადგენლობაში შევლენ პარლამენტისა და გამსახურდიას დროინდელი მთავრობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები.

ამ მოთხოვნას აყენებენ პარლამენტის წინ ორი თვის განმავლობაში მიმდინარე აქციის მონაწილენი.

გამახარია პროტესტის ნიშნად პარლამენტის დატოვებით იმუქრება, იმ შემთხვევაში, თუ მისი მოთხოვნები არ შესრულდება. ის იმედოვნებს, რომ მის აქციას მხარს დაუჭერენ ექს-პრეზიდენტის სხვა მომხრეები.

როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ განაცხადა, მისი მომხრეები აპირებენ შექმნან ერთობლივი საარჩევნო კომისია მოქმედ პარლამენტთან ერთად და "ჩაატარონ კანონიერი არჩევნები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბში აცხადებენ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ბაზების არსებობა დღეისათვის, მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში მოსკოვის სამხედრო ამბიციების ფიქსაციას წარმოადგენს.

"რუსეთის სამხედრო ბაზები, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არანაირ ფუნქციას არ ასრულებენ," - განუცხადა პრაიმ-ნიუსს შეიარაღებული ძალების გენშტაბის სტრატეგიული დაგეგმვისა და შეიარაღებაზე კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსმა კახა კაციტაძემ.

გარდა ამისა, მისი თქმით, არსებული საერთაშორისო პრაქტიკის დარღვევით, რუსი სამხედროები საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებულ არანაირ კომპენსაციას არ იხდიან.

"იგივე ტაჯიკეთი, რუსეთის 201-ე დივიზიის ბაზირებისათვის, ყოველწლიურად 200 მილიონი აშშ დოლარის ანგარიშს წარუდგენს მოსკოვს. საქართველო ასეთივე გზით უნდა წავიდეს", - თქვა კახა კაციტაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერო-სა და რუსეთს, როგორც შუამავლებს, თხოვნით მიმართა, მოახდინონ გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა გამოირიცხოს რესპუბლიკაში საომარი მოქმედებების განახლება. "საქართველოს ხელისუფლება იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი ემზადებიან აფხაზეთის წინააღმდეგ ახალი აგრესიისათვის," - ნათქვამია დღეს სოხუმის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"აგრესიის პირველ ეტაპზე შესაძლოა ამოქმედებული იყოს შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც კოდორის ხეობაში არიან დისლოცირებული, და საერთაშორისო ტერორისტების რაზმები, რომლებიც გადმოდიან პანკისის ხეობიდან," - ირწმუნებიან დოკუმენტში. სოხუმი განცხადებაში იხსენებს, რომ თბილისში ორ აპრილს ხელი მოეწერა ოქმს, რომლის თანახმადაც მხარეები იზიარებენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების პუნქტებს.

"ამ შეთანხმების მიუხედავად, ქართული მხარე კვლავ არის წარმოდგენილი კოდორის ხეობაში სამხედრო ძალებით, რომელიც 1000-ზე მეტ სამხედროს ითვლის," - ნათქვამია განცხადებაში. ამ ქვედანაყოფებში შედიან მესაზღვრეები და ეროვნული გვარდიის რეზერვისტები, რომელთა განკარგულებაშია მძიმე ტექნიკა. "ჩვენ მოვუწოდებთ ქართულ მხარეს ზედმიწევნით დაიცვას შეთანხმების პირობები, რომელიც ხელმოწერილია მოლაპარაკებების პროცესში და ვაცხადებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო საომარი მოქმედებების განახლებაზე, დაეკისრება საქართველოს ხელისუფლებას." **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობოების ყოფნასთან დაკავშირებით უცვლელია. ამის შესახებ განუცხადა კავკას-პრესს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ანრი ჯერგენიამ.

კომენტარი გაუკეთა რა ქართველი პარლამენტარების მიერ მიღებულ დადგენილებას, რუსი სამშვიდობოების კონფლიქტის ზონიდან გაყვანის, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გატანისა და საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ, ჯერგენიამ განაცხადა, რომ სოხუმს არ აქვს ოფიციალური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მისცა ხმა საქართველოს პარლამენტმა. "ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის საქართველოს ხელისუფლების პრობლემა," - დასძინა მან.

მისი თქმით, სოხუმი გამოდიოდა და ახლაც გამოდის კონფლიქტის ზონაში კოლექტიური უსაფრთხოების ძალების ყოფნის მოთხოვნით. "ჩვენი პოზიცია მუდმივია და არანაირად არ უკავშირდება იმას, თუ რას გადაწყვეტს საქართველოს პარლამენტი," - აღნიშნა ჯერგენიამ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ირინა ხაკამადამ გუშინ განაცხადა, რომ პუტინს მართებს შეხვდეს შევარდნაძეს და "გაიმართოს შემდგომი კონსულტაციები უკვე აშშ-ს წარმომადგენლების თანხლებით". ამასთან, მან "ზედმიწევნით მკვეთრი" უწოდა პარლამენტის დადგენილებას დსთ-დან საქართველოს გასვლის შესახებ.

ხაკამადას თქმით, "საქართველო რუსეთისა და აშშ-ს გარეშე ვერ შეძლებს გადაწყვიტოს თავისი პრობლემა, მათ შორის, და უპირველეს ყოვლისა, პანკისის ხეობის პრობლემა, სადაც თავს აფარებს ჩეჩენი ტერორისტების ნაწილი".

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კავკას-პრესს განუცხადეს, რომ ამგვარი შეხვედრა მზადდება, თუმცა, სიტუაციის გამწვავების შემდეგ კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით შეჩერდა. **კავკას-პრესი**

# პრეზიდენტი პანკისში

პირველი გვერდიდან

## სამუშაო დღე

პრეზიდენტის სამუშაო დღე პანკისში, დაახლოებით, ორი საათი გაგრძელდა.

ამ ხნის განმავლობაში მან მოინახულა საკობიანოს მშენებარე სკოლა, შეხვდა სხვადასხვა სოფლის ადგილობრივ მოსახლეობას, დუისის ჩათვლით, და ჩაატარა თათბირი ძალოვანებთან. ყოველივე ეს კი მოკლე კომენტარით დაასრულა:

**"დარწმუნებული ვარ, რომ პანკისში ჯარების შეყვანის ოპერაცია დადებით შედეგს გამოიღებს და ხეობაში სტაბილური წესრიგი და მშვიდობა დამყარდება. ხეობის დაბომბვის ფაქტი კი აღარ განმეორდება. ეს არ შეიძლება განმეორდეს, იმიტომ, რომ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა ის, რაც აქ მოხდა. მხედველობაში მაქვს დაბომბვა და ადამიანთა მსხვერპლი. თქვენ თავად ნახეთ, რამდენი კაცი მოვიდა დაკრძალვაზე. ეს არის პროტესტი იმის ნიშნად, რომ ასეთი უბედურება აღარ განმეორდეს".**

## რა გვინდოდა პანკისში?

უცნაური კითხვაა, მაგრამ კარგი პასუხი აქვს. ჯერ ერთი, ჩვენმა მოქალაქეებმა და მსოფლიომ უნდა იგრძნოს, რომ საქართველო სახელმწიფოა და მეორეც - უკვე დაკავებულია რამდენიმე კრიმინალი.



ხალხი პრეზიდენტს იმისთვის ელოდებოდა, რომ ხელი ჩამოერთმია და მადლობა ეთქვა.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

არის კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი. პანკისის არაქართველი მოსახლეობა პრეზიდენტის მადლობელი სწორედ ამ ნაბიჯისთვისაა. ეს ხალხი პრეზიდენტს იმისთვის ელოდებოდა და მერე მასთან მისასვლელად იმიტომ იჭყლიტებოდა, რომ ხელი ჩამოერთმია და მადლობა ეთქვა, ბოლოს და ბოლოს წესრიგიც დამყარდება და რუსებიც მოგვასვენებენო; და ნამდვილად ძნელი იქნებოდა მათ სიტყვებში ეჭვის შეტანა, რომ არა ქართველი მოსახლეობის ფარული უნდობლობა და ეჭვი.

## თევზაძე და "რაგატკები"

სოფელ კუწახტაში პრეზიდენტის მომლოდინეთა შორის ორი პატარა ბიჭი გამოჩნდა, რომელთაც ხელში "რაგატკები" ეჭირათ. რა გაქვთ, ბიჭო, ხელშიო, - ისე უყვირეს უფროსებმა, რომ ბიჭებს შეეშინდათ და ხის "რქებზე" ნელა დაიწყეს რეზინის დახვევა.

## მოქკავშირი თუ შინაგანი ჯარი

კუწახტაშივე შეხვდნენ ერთმანეთს სულეიმან გუმაშვილი და ედუარდ შევარდნაძე. სულეიმან გუმაშვილი პანკისის ხეობაში უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეც არის და მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეც. მისი თქმით, პრეზიდენტის პარტიაში შვიდასი კაცი უკვე გაერთიანდა და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. აბა, რაღად გვინდოდა ამდენი ჯარიო, - გაეცინა შევარდნაძეს.

## "ყველაფერი კარგად იქნება"

ყველაფერი კარგად იქნებაო, - ამშვიდებდა პრეზიდენტი პანკისის მოსახლეობას და თანაც ბავშვებს ეფერებოდა. მასთან შეხვედრამ განსაკუთრებით დუისის ჩეჩენი ლტოლვილები გაახალისა. თავდაპირველად პრეზიდენტის ხელის დაქნევა, აქ მოდითო, ბავშვიანმა ქალებმა უკუღმა გაიგეს, აქედან გვყრიანო და გაქცევა დააპირეს, მაგრამ ხალხის მასა ვერ გაარღვიეს. არადა, პრეზიდენტი მათკენ მთელი თავისი ავტომატიანი ამალით მიემართებოდა და თანაც ხელსაც უფრო და უფრო ძლიერად იქნევდა. ატყდა ჩოჩქოლი, ქალების ყვირილი და ბავშვების წინ გამორეკვა. მერე, როცა ყველაფერი გაირკვა და ნანატრი შეხვედრაც შედგა, ყველას გულიანად გაეცინა.

ჩეჩნები რას გეუბნებოდნენო, - ჰკითხეს ბოლოს ჟურნალისტებმა პრეზიდენტს. მადლობის მეტი არაფერი უთქვამთო, - უპასუხა შევარდნაძემ და თბილისისკენ გასწია.

# რუსი სამხედროები საქართველოს არ სჭირდება

პირველი გვერდიდან

**"იმ ბარბაროსული ქმედებების გამო, რომელთაც თქვენ ბოლო ათი წლის განმავლობაში ახორციელებთ, საქართველოს მოსახლეობა პროტესტს გიცხადებთ. მოვითხოვთ, დატოვოთ ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანად, თუ გსურთ მსოფლიოში მეტ-ნაკლებად ცივილიზებული ქვეყნის სახელი დაიმკვიდროთ. თქვენ აქ არავის სჭირდებით, გაუდექით თქვენი ქვეყნისკენ მიმავალ გზას,"** - განაცხადა "დემოკრატმა" გია ბარამიძემ, რომლის სიტყვებს სამხედრო შტაბის კარგად მიხურულ ორმაგ ფანჯრებს შიგნით ცოტა ვინმე თუ გაიგებდა.

**"წადით საქართველოდან - ეს არ არის პოლიტიკური მოთხოვნა, ეს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია. თქვენ სიკვდილის მომტანი ადამიანები ხართ, სიკვდილის ფორმა გაცვიათ... დღეიდან თქვენი ცხოვრება საქართველოში აუტანელი გახდება. თქვენ ამას იგრძნობთ ყველგან - ქუჩაში, მაღაზიაში..."** – გააფრთხილა რუსი სამხედროები ვასილ მაღლაფერიძემ.

პარლამენტარ ხათუნა ხოფერიას თქმით, აქციაზე გაჟღერებული სიტყვები, რუს სამხედროებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების გასაგონადაცაა ნათქვამი.

"დემოკრატები" აცხადებენ, რომ მსგავსი აქციები პერმანენტულად გაგრძელდება, ვიდრე რუსეთი საქართველოსთან ცივილიზებულ ურთიერთობას არ დაამყარებს. აქციების ჩატარება თბილისში განლაგებული ყველა რუსული სამხედრო ობიექტის წინაა დაგეგმილი.

"დემოკრატებმა" მოსახლეობას პროტესტის გამოხატვის ორიგინალური ხერხი ასწავლეს: **"მივმართავთ საქართველოს მოქალაქეებს, როცა ამ შენობას მანქანით ჩაუვლიან, საყვირს ხელი დააჭირონ. აქ მომუშავეებმა უნდა იცოდნენ, რომ რუსი სამხედროები საქართველოს არ სჭირდება..."**

"გაერთიანებული დემოკრატების" ასკაციანი აქცია ერთ საათში დაიშალა. პარლამენტარები 23 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიის დაბომბვისას დაღუპული გურამ ოტიაშვილის დაკრძალვის ცერემონიალზე დასასწრებად გაემგზავრნენ. მანამდე კი დაღუპულის ხსოვნას აქციის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი.




"გაერთიანებული დემოკრატები" რუსეთის სამხედრო ძალების შტაბთან

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

# საარჩევნო ბიზნესი ქუთაისურად

გიორგი ასანიშვილი

საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის ზაქარია ქუცნაშვილის თქმით, 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნების დროს, ქუთაისში, დაინტერესებულ პირებს შორის ამომრჩეველთა ხმებისთვის უსირცხვილო ვაჭრობა მიმდინარეობდა.

**"ხმების დათვლის პირველ დღეს ერთი ხმა ერთი ლარი ღირდა, მეორე დღეს - ორი, მესამე დღეს - სამი ლარი, არჩევნების დამთავრებისთანავე კი საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულმა რამდენიმე პიროვნებამ თავისი სახლის ჭიშკართან ახალი მანქანა დააყენა",** - აცხადებს ქუცნაშვილი, რომელსაც ისიც გამოუთვლია, რომ "ხმების ბიზნესით" ქუთაისში დღეში, დაახლოებით, 5-10 ათასი ლარი "კეთდებოდა", თუმცა, სათანადო მტკიცებულებანი არ გააჩნია. კომისიის ერთ-ერთი წევრი ალეკო შალამბერიძე აღნიშნავს, რომ პირად საუბრებში ქუთაისის საუბნო და საოლქო კომისიების წევრები, აგრეთვე საკრებულოს ახლად არჩეული დეპუტატები, კანონდარღვევებს არ უარყოფდნენ, მაგრამ წერილობითი ახსნა-განმარტების მიცემაზე უარს ამბობენ. კომისიის წევრებს ხმების გადათვლა მაინც სასარგებლო საქმედ მიაჩნიათ, რადგან **"როდესაც არჩევნების გამყალბებლებმა დაინახეს, რომ მათი მაქინაციებით ვიღაც დაინტერესდა, ძალზე შეშფოთდნენ".**



ვახტანგ ხმალაძე და ზაქარია ქუცნაშვილი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ქუთაისში მომხდარი დარღვევების ერთ-ერთ ორგანიზატორად ზაქარია ქუცნაშვილს საოლქო კომისია მიაჩნია, რომელმაც არჩევნების შედეგები არ შეაჯამა და დასკვნით ოქმს ხელი არ მოაწერა. **"თავიდან ისინი მამა აბრამის ბატკნები მეგონენ და ვფიქრობდი, დანაშაულში გარევა არ უნდოდათ, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ისინი, უბრალოდ, სხვებზე ჭკვიანები აღმოჩნდნენ, როდესაც დანაშაულის დამადასტურებელ დოკუმენტს ხელი არ მოაწერეს",** - აცხადებს "პარლამენტარ-გამომძიებელთა" ჯგუფის ხელმძღვანელი.

რაც შეეხება ქუთაისში მომხდარ საარჩევნო დარღვევათა ყველაზე გავრცელებულ ფორმას, იმერეთში ის "სომხურ კარუსელად" მოუნათლავთ, თუმცა, ვერავინ ამბობს, რა შუაშია აქ სომხეთი. ვალერი გელბახიანის თქმით, არჩევნების გაყალბების ეს მეთოდი, რომელსაც თბილისში "მარაოს" უწოდებენ, პირველად ამერიკის პროფკავშირებში გამოიგონეს.

ვახტანგ ხმალაძე, თავის მხრივ, იმასაც აღნიშნავს, რომ ბევრი მსგავსი დარღვევა, რომელიც ქუთაისში დაფიქსირდა, ფოთშიც მოხდა. **"ავადმყოფობა საერთოა",** - ასკვნის პარლამენტარი.

ამ ავადმყოფობისგან განსაკურნებლად ვალერი გელბახიანს აუცილებლად მიაჩნია საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება. მისი აზრით, პარლამენტმა ახლო მომავალშივე უნდა შეიტანოს ცვლილებები როგორც სისხლის და სამოქალაქო სამართლის, ისე საარჩევნო კოდექსში.

გუშინდელ სხდომაზე საგამოძიებო კომისიის წევრებმა გადაჭრით ვერ თქვეს, სერიოზულად იმოქმედა თუ არა ქუთაისში მომხდარი გაყალბების ფაქტებმა არჩევნების საბოლოო შედეგზე და, ამდენად, ხომ არ არსებობს ამჟამად უკვე მოქმედი საკრებულოს შემადგენლობის გადახალისების აუცილებლობა.

**"მხოლოდ ათი უბნის გადამოწმებით ამის თქმა შეუძლებელია",** - აცხადებს ალეკო შალამბერიძე.

და ბოლოს, სკანდალის შესახებ, რომელიც გუშინ არ აგორდა: დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრმა, "ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელმა დავით საგანელიძემ კოლეგებს შეახსენა ის მოარული ხმები, რომლებიც ქუთაისში გავრცელდა (შეგახსენებთ, 2 ივნისს ქუთაისი "ახლებმა" "მოიგეს"). თითქოს, თბილისიდან ჩასული საპარლამენტო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა (მისი გვარი არ სახელდება) ქუთაისის საკრებულოს შემადგენლობას შესთავაზა "ჯენტლმენური გარიგება" - თუ საკრებულოს მდივნად სასურველი პიროვნება დაინიშნებოდა, არჩევნების დროს ქალაქში მომხდარი დარღვევები არ გახმაურდებოდა და შედეგები არ გადაისინჯებოდა.

საგამოძიებო ჯგუფის ყველა წევრი ასეთ გარიგებას ერთხმად ემიჯნება და ამ ვერსიას "ბინძურ ცილისწამებას" უწოდებს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ზექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# "მშვიდობით, კავკასია!" - რუსეთის პრესა საქართველოს შესახებ

პირველი გვერდიდან

შეერთებული შტატების მკაცრი განცხადება პანკისის დაბომბვასთან დაკავშირებით რუსული გაზეთების უმრავლესობამ ერაყის წინააღმდეგ ომის სამზადისს დაუკავშირა. "იზვესტია" მიიჩნევს, რომ თეთრ სახლს სერიოზულად არ ანაღვლებს რუსული სამხედრო ექსპერიმენტები პანკისში გამაგრებული ჩეჩნების წინააღმდეგ. გაზეთის აზრით, ამერიკა იმითაა შეშფოთებული, რომ "მუსლიმ პარტიზანებზე" გამარჯვება რუსული და არა ამერიკული დროშით იქნება მიღწეული – ამ შემთხვევაში ხომ ქართული ჯარისათვის გაწეული ამერიკული დახმარება "საპნის ბუშტი" აღმოჩნდება.

"ვედომოსტის" აზრით, ამერიკელების რეაქციასთან დაკავშირებით **"ჩნდება არა მარტო ერაყის, არამედ ზოგადად რუსეთის ფედერაციის "არაკეთილსაიმედოობის" თემაც, რომელიც, ამერიკული ანათემების მიუხედავად, ბოლო ხანს ავადსახსენებელი ურჩი სახელმწიფოების ლიდერებთან ამყარებს ურთიერთობებს"**. "ურჩ სახელმწიფოებში", რასაკვირველია, ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა იგულისხმება.

რეაქციული "ვრემია ნოვოსტეი" ცდილობს, შეაგულიანოს რუსეთის ხელისუფლება: **"თეთრი სახლის ამგვარი რეაქცია დიდად არ შეაშფოთებს კრემლს, რომელსაც ესმის, რომ ვაშინგტონიდან სხვაგვარი პასუხი მოსალოდნელი არც იყო"**. გაზეთი ცდილობს, პანკისში განხორციელებული ავიარეიდი ამერიკელების მიერ ერაყის წინააღმდეგ ომის სამზადისს შეადაროს.

პესიმიზმით გამოირჩევა რუსი ექსპერტების მოსაზრებებიც. პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის დირექტორი ვალერი ფიოდოროვი მიიჩნევს, რომ პანკისთან დაკავშირებით მოსკოვისაკენ მიმართული **"ვაშინგტონის კრიტიკა ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ცნობილია, რომ შეერთებულ შტატებს რუსეთის პოზიცია არ აკმაყოფილებს"**. ფიოდოროვის აზრით, ვაშინგტონი რუსეთზე სხვადასხვა საშუალებით ზეწოლის განხორციელებას ცდილობს, რათა მოსკოვის მხრიდან ერაყის წინააღმდეგ ოპერაციის მხარდაჭერას მიაღწიოს.

ფონდ "პოლიტიკის" პრეზიდენტმა ვიაჩესლავ ნიკონოვმა აღნიშნა: ამერიკელი წარმომადგენლის განცხადება არის **"სიგნალი, რომ რუსეთს არ გააჩნია კარტ-ბლანში საქართველოში თავისი პოლიტიკის გასატარებლად"**.

რუსეთის პოლიტიკური წრეების მიერ პანკისის საკითხის ახლებურად გაცნობიერება ყველაზე კარგად ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილ მარგელოვის პოზიციის ცვლილებაში გამოიხატა. მარგელოვი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელებას ორი კვირის წინ ღიად უჭერდა მხარს, "ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში ახლა აცხადებს: **"პანკისის ხეობის დაბომბვა რუსეთისათვის არახელსაყრელია. ვითარებამ, შეიძლება, ანტიტერორისტული ოპერაციის ამერიკელ პარტნიორებთან ჩვენი შეჯახება განაპირობოს"**.

რუსეთის პრესის საერთო განწყობა პანკისის ხეობაში ქართული ძალების მიერ წამოწყებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ფრთხილი ოპტიმიზმისა და სკეფსისის ნაზავს წარმოადგენს. აქა-იქ ჩანს შიშიც, რომ ქართველები ჩეჩნებს პანკისის ხეობიდან გააძევებენ და ისინიც ჩეჩნეთში დაბრუნდებიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია იმავე მარგელოვის განცხადება რუსეთსა და საქართველოს შორის "უმჭიდროესი თანამშრომლობის" საჭიროების თაობაზე, რათა აღიკვეთოს პანკისის ხეობიდან ჩეჩენი ბოევიკების უკან, ჩეჩნეთში გადასვლა, სადაც მათ რუს მესაზღვრეებთან მოუხდებათ შეტაკება.

რუსული გაზეთების ვერსიით, პანკისში მიმდინარე სპეცოპერაცია წარმოადგენს ქართული დიპლომატიის პროპაგანდისტულ პასუხს რუსეთის ფედერაციის ბოლოდროინდელ პრეტენზიებზე და იმის დასაბუთებას, რომ საქართველო დამსახურებულად სარგებლობს ამერიკის სამხედრო დახმარებით.

"კომერსანტის" აზრით, ქართველი სამხედროები პანკისში ვერანაირ ტერორისტებს ვერ იპოვიან. "ადგილობრივი წყაროების ცნობით, რუსულ გილდების ბოევიკები რამდენიმე დღის წინ დატოვეს ეს რაიონი და რუსეთის საზღვრისაკენ დაიძრნენ," – წერს გაზეთი. "იზვესტია" კი ვარაუდობს, რომ, მართალია, პანკისში სპეცოპერაცია დაიწყო, მაგრამ იგი მხოლოდ ბლოკპოსტების გამოჩენებით შემოიფარგლება. გაზეთი ქართველების მიერ სპეცოპერაციის დაწყებას მოსკოვის მხრიდან ზეწოლის შედეგად მიიჩნევს. რუსეთის სასაზღვრო სამსახურის ანონიმური წყაროს განცხადებით, თუ ქართველებმა ბოევიკების განადგურება კი არა, განდევნა დაიწყეს, მაშინ ისინი კვლავ რუსეთის ტერიტორიაზე გადავლენ.

"მოსკოვსკი კომსომოლეცს" არ სჯერა, რომ თბილისი გულწრფელად აპირებს პანკისის ხეობის განმენდას. თუმცა, იქვე დასძენს: **"არავისთვის საიდუმლო არ წარმოადგენს, რომ საქართველოს ამის დამოუკიდებლად გაკეთება არ შეუძლია"**.

* * *

რუსეთის ოფიციალური პირებისა და ჟურნალისტების გუშინდელი გამოხმაურება საქართველოს პარლამენტის დადგენილებაზე უკომპრომისო იყო.

სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა, ფრაქცია "იაბლოკის" წევრმა ვლადიმერ ლუკინმა განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ემოციური ხასიათისაა: **"ისეთი ქვეყნის პარლამენტი, როგორიც საქართველოა, მისთვის დამახასიათებელი კავკასიური ტემპერამენტის წყალობით, სხვადასხვა სახის არსებული ვითარებების მიმართ ემოციური მიდგომით გამოირჩევა"**. ლუკინს "მნიშვნელოვნად და არსებითად" მიაჩნია ის, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს არაფერს ავალდებულებს და მას მხოლოდ "სარეკომენდაციო ხასიათი აქვს". შევარდნაძე კი, ლუკინის აზრით, "უფრო აწონილ და გონიერ პოზიციას" დაიკავებს.

ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილ მარგელოვმა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას "ისტერიული" უწოდა. სენატორის აზრით, ქართველებმა **"გაითამაშეს კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობენ ბრძენი ედუარდ შევარდნაძე და აღშფოთებული "ხალხი" პარლამენტის სახით"**, რაც საქართველოს პრეზიდენტს პოლიტიკური მანევრირების საშუალებას აძლევს. ხოლო, თუ ეს ასე არის და პარლამენტი გულწრფელია, მაშინ მარგელოვი ქართველ კოლეგებს შეახსენებს, რომ **"შეკრული მუშტებით დიდხანს სიარული, სულ მცირე, მოუხერხებელია"**.

სათათბიროს ფრაქცია "ედინსტვოს" ლიდერი ვლადიმერ პეხტინი მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, მისი განხორციელების შემთხვევაში, **"შეიძლება, კავკასიაში ვითარების უკიდურესად გამწვავება გამოიწვიოს"**. პეხტინის აზრით, პარლამენტის დადგენილება საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკურ თამაშში კარგად ერგება. **"შეკოწიწებულ საქართველოში მდგომარეობა ისეთია, რომ კონსოლიდაციის გამოცდილი ილეთი – საგარეო საფრთხის – გამოყენება გახდა საჭირო,"** – განაცხადა პეხტინმა.

ინტერნეტ-გამოცემა "გაზეტა" თავის მხრივ მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის მოთხოვნები სამშვიდობო ძალებისა და სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე შეიძლება ასე გამოიყურებოდეს: **"სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა შევარდნაძესა და პარლამენტს შორის დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ამას ოფიციალური თბილისისათვის ჯერ ხელი არ შეუშლია, მათი მანდატი ყოველ ნახევარ წელიწადში გაეხანგრძლივებინა"**.

# ჩინეთში წყალდიდობა გრძელდება



*წყალდიდობა ჩინეთში* REUTERS

ჩინეთში გადაუღებელი წვიმების შედეგად ადიდებული მდინარე იანძი ქვეყნის სამხრეთში მდებარე პროვინცია ვუჰანს წალეკვით ემუქრება. ათი ათასობით მოსახლე ევაკუირებულია. სამხედროები და მაშველები სტიქიასთან ბრძოლას განაგრძობენ. პროვინციის ქალაქ ჟუჟიანის ოფიციალურ პირთა განცხადებით, მოსახლეობა ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს და მათ "ბრმა ოპტიმიზმი" არ უნდა გამოიჩინონ. ქალაქის 40 000 მოსახლე და მობილიზებული სამხედროები მზად არიან ქალაქის სტიქიისაგან დასაცავად. ზაფხულის თავსხმა წვიმებისა და მეწყერების შედეგად, წელს ჩინეთში 1000-მდე ადამიანი დაიღუპა. პეკინმა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისა და რაიონების დასახმარებლად პროექტები უკვე შეიმუშავა და მალე მათ განხორციელებასაც დაიწყებს.

# აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ერაყზე შეტევის გადადებას სახიფათოდ მიიჩნევს

ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილში ამერიკელ სამხედრო ვეტერანთა წინაშე გამოსვლისას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ერაყში სამხედრო ოპერაციას ვერ დააყოვნებს იქამდე, ვიდრე ბაღდადი არ შექმნის ბირთვულ იარაღს. **"უმოქმედობის რისკი გაცილებით მეტია, ვიდრე მოქმედების დროს გაწეული რისკი,"** - აღნიშნა ჩეინიმ. მან თავის გამოსვლაში აშშ-ს ადმინისტრაციის განცხადება გაიმეორა, რომლის თანახმადაც ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი მსოფლიოს მშვიდობისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს და მისი რეჟიმის დამხობა სასწრაფოდ არის აუცილებელი. **"ჩემთვის ცნობილია ერაყთან ომის საწინააღმდეგო არგუმენტები. ბევრი ფიქრობს, რომ უნდა დავიცადოთ, ვიდრე ჰუსეინი საბოლოო ზღვარს არ გადალახავს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული: ეს ლოგიკა მცდარია,"** - განაცხადა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა. მისი აზრით, ჰუსეინი დროის მოგებას ცდილობს, რათა ამ ხნის განმავლობაში ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბირთვული იარაღის დასამზადებლად აუცილებელი რესურსები მოიპოვოს. **"თუ ეს ასე მოხდა, შედეგები უაღრესად სავალო იქნება, როგორც აშშ-სთვის, ასევე მთელი მსოფლიოსათვის,"** - დასძინა ჩეინიმ.

ეკონომიკა

# "სავალუტო ფონდი ჭკუას ვერ სწავლობს"

თორნიკე შარაშენიძე



*ჯოზეფ სტიგლიცი*

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოღვაწეობას ყოველთვის ჰყავდა კრიტიკოსები და ახლა, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, როცა ეკონომიკურმა კრიზისმა მსოფლიოს მრავალი რეგიონი მოიცვა და ფონდის მიერ გაღებული მილიარდები, ჯერჯერობით, საქმეს არ შველის, მათ კვლავ მიეცათ საფუძველი ორგანიზაციის გასაკრიტიკებლად.

განსაკუთრებულ პრობლემებს ფონდი არგენტინაში განიცდის. ამ ქვეყანას ათეულობით მილიარდ დოლარიანმა ტრანშებმა ვერაფრით ახეირა. შარშან, არნახული ეკონომიკური კრიზისის გამოისობით, არგენტინამ სამი მთავრობა გამოიცვალა და 140 მილიარდ დოლარიანი ვალის დეფოლტი მოახდინა. ამ უკანასკნელი ფაქტის გამო ფონდმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა ქვეყნის დაფინანსება. მართალია, ბოლო დროს ორ მხარეს შორის დაახლოება შეიმჩნეოდა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ პრობლემებმა კვლავ იჩინა თავი, როცა არგენტინის სასამართლომ გააუქმა მთავრობის დადგენილება ხელფასებისა და პენსიების შემცირების თაობაზე. დადგენილება ფონდის საამებლად იქნა მიღებული, რომელიც, ტრადიციულად, სამთავრობო ხარჯების შემცირებას ითხოვდა.

ასე რომ, არგენტინა კარგი თვალით არ უყურებს სავალუტო ფონდს. ეს განწყობა კიდევ უფრო გააძლიერა ქვეყანაში გამოჩენილი ეკონომისტისა და ფონდის ერთ-ერთი დაუძინებელი ოპონენტის, ჯოზეფ სტიგლიცის სტუმრობამ. ამ უკანასკნელმა ბუენოს-აირესის უნივერსიტეტში სპეციალური ლექცია წაიკითხა, რომელშიც ფონდის მოღვაწეობა მიწასთან გაასწორა.

"ფონდი ისეთ პირობებს ახვევს თავს ქვეყნებს, რომლებიც კიდევ უფრო უწყობს ხელს საერთაშორისო კრიზისის გაღვივებას, - განაცხადა სტიგლიცმა, 2001 წელს ეკონომიკის სფეროში ნობელის პრემიის ლაურეატმა, ბილ კლინტონის ეკონომიკის საკითხებში მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ და ერთ დროს მსოფლიო ბანკის მთავარმა ეკონომისტმა, - მისი გამოისობით არგენტინის მსგავს ქვეყნებს, რაც შეიძლება, დიდი რაოდენობით ვალებს ათვისებინებენ, რაც, საბოლოოდ, მათი გაკოტრებით უნდა დასრულდეს."

სტიგლიცის თქმით, ფონდში საერთოდ არ ესმით, რა არის კაპიტალიზმი. ეს უკანასკნელი ყველასათვის თანაბარი შანსის მიცემას გულისხმობს, რაც ფონდის მოღვაწეობას არანაირად არ ახასიათებს. "ისინი ფულს გასცემენ და პასუხისმგებლობა ამ ფულზე მათაც უნდა აიღონ. ეს კი არასოდეს ხდება", - აღნიშნავს გამოჩენილი ეკონომისტი და არგენტინელებს იქვე ურჩევს, არაფერი დაუთმონ ფონდს და მოლაპარაკებები, რაც შეიძლება, მკაცრად აწარმოონ, რადგან ფული, რომელსაც ორგანიზაცია გასცემს, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის კი არაა განკუთვნილი, არამედ იმისათვის, რომ მომავალში ფონდს პროცენტებით დაუბრუნდეს.

ასეთი იყო სტიგლიცის გამოსვლა ბუენოს-აირესში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფონდის საქმიანობაზე კრიტიკული შენიშვნებით იგი ადრეც არაერთხელ გამოსულა (რაც, საბოლოოდ, მსოფლიო ბანკში თანამდებობის დაკარგვად დაუჯდა – სანდო წყაროთა ცნობით, ვაშინგტონში ასეთი რადიკალური გამოსვლები ვეღარ აიტანეს). განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი მოსაზრებები აზიურ კრიზისთან დაკავშირებით. მაგალითად, არგუმენტები კორეაში ფონდის მოღვაწეობაზე მართლაც რომ დამაჯერებლად ჟღერს. "რატომღაც ფონდმა კორეაში ინფლაციასთან ბრძოლა განიზრახა, - განაცხადა სტიგლიცმა, - არადა, ეს არ იყო ისეთი მნიშვნელობის პრობლემა ამ ქვეყანაში. გარდა ამისა, ფონდმა მოითხოვა მეტალურგიული მრეწველობის პრივატიზება, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ და მთავრობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. პირადად მე ვერ მივიღე ნორმალური ახსნა-განმარტებები ამ ნაბიჯებთან დაკავშირებით და ვეჭვობ, ვინმემ ოდესმე მიიღოს. საღი თვალით თუკი შევხედავთ, ეს ყოველივე მხოლოდ უცხოელი ინვესტორების ინტერესებს ემსახურება და სხვა არაფერს."

უცხოელმა ინვესტორებმა მართლაც იხეირეს. "დეუ" "ჯენერალ მოტორზს" დარჩა, "სამსუნგის" საავტომობილო ქარხანა - "რენოს"...

სავალუტო ფონდმა შემდგომში არაერთხელ განაცხადა, რომ აზიური კრიზისის დროს მართლაც იქნა დაშვებული შეცდომები, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის ეს შეცდომები ჭკუის სასწავლებელი აღმოჩნდა და ფონდი მეტად აღარ გაიმეორებს. მაგრამ სტიგლიცი ამ განცხადებას ერთობ ირონიულად უყურებს. "ჭკუა ისწავლეს? მაშ, არგენტინაში იმავეს რატომ აკეთებენ? რა საჭირო იყო საპროცენტო განაკვეთების გაზრდა, ამან ხომ მცირე ბიზნესი ჩაკლა. ფონდი ყველაფერს არგენტინის მთავრობას აბრალებს, თავად კი პასუხისმგებლობას არ იღებს. არადა, სანამ ფონდი თავისი სესხებითა და ახალი რეფორმებით ჩაერეოდა, არგენტინას არც ისე ცუდად ჰქონდა საქმე. ბიუჯეტის დეფიციტი იმაზე ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ს 1992 წლის რეცესიის დროს ჰქონდა."

ყოველივე აქედან გამომდინარე, სტიგლიცი საკმაოდ კარგი თვალით უყურებს ანტიგლობალისტთა გამოსვლებს. "რომ არა ისინი, ყველაფერი გაცილებით უარესად იქნებოდა, - ამბობს გამოჩენილი ეკონომისტი, - ისინი ბევრ ისეთ პრობლემაზე გვიხელენ თვალს, რაზეც ფიქრი არავის უნდა."

თავად სტიგლიცისათვის მთავარი პრობლემა სავალუტო ფონდია. რაც შეეხება მსოფლიო ბანკს, მისი აზრით, ამ ორგანიზაციას მხოლოდ რეფორმირება სჭირდება. ფონდს კი, ალბათ, ესეც ვერ უშველის.

# „ენერგეტიკული საზოგადოება" ენერგოსისტემის უცხოელებისთვის გადაცემას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

**დახმარება არ გვჭირდება, ამიტომ მათ შენობაში არ შევუშვებთ"**, - აცხადებს "ენერგეტიკული საზოგადოების" თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი. ის უკვე დიდი ხანია, რაც ქონების მართვის სამინისტროს სტრატეგიული ენერგოობიექტების გასხვისებაში ადანაშაულებს და ამ პროცესის შეჩერებას ითხოვს.

თავიდან ირლანდიელების თბილისში ჩამოსვლის თარიღად 2 სექტემბერი სახელდებოდა, თუმცა, ფინანსთა სამინისტროსთან ჯერ კიდევ ბოლომდე გაურკვეველი საგადასახადო ვალდებულებების საკითხის გამო, შესაძლოა, ამ ვადამ კიდევ უფრო გადაიწიოს. საუბარი ეხება "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" იმ საგადასახადო ვალდებულებებს, რომელთა გადახდაც, ხელშეკრულების მიხედვით, ირლანდიურ კომპანიას არ ევალება. ირლანდიელების დაგვიანებით ჩამოსვლა კი მსოფლიო ბანკის მხრიდან უკმაყოფილებას გამოიწვევს.

მიუხედავად ამისა, მოპიკეტეების შეხვედრა ქონების მართვის მინისტრთან გუშინ მორიგი სამუშაო ჯგუფის შექმნით დასრულდა. **"სამუშაო ჯგუფში "ელექტროგადაცემისა" და "ელექტროდისპეტჩერიზაციის" წარმომადგენლები შევიდნენ. შეიძლება, ირლანდიელებს დამატებითი ხელშეკრულების გაფორმება შევთავაზოთ, რომელიც ამ ორგანიზაციების თანამშრომელთა სოციალურ გარანტიებს უზრუნველყოფს, თუმცა, დამეთანხმებით, 40 ათასი კაცი ამ სისტემაში ძალიან ბევრია,"** – განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

სავარაუდოდ, "ენერგეტიკული საზოგადოება", რომელიც ენერგეტიკულ ობიექტებში უცხოელების შესვლაზე მძაფრად რეაგირებს, ვარციხეჰესის მართვის უფლებით გასხვისების საკითხშიც ჩაერევა. როგორც ცნობილია, ეს საკითხი უკვე სამი წელია, რაც დღის წესრიგში დგას. ჯერ კიდევ 1999 წელს გერმანულმა საკრედიტო ბანკმა "KFW"-მა 63 მილიონი გერმანული მარკა გამოჰყო ელექტროსადგურის რეაბილიტაციისთვის, თუმცა, ხელმოწერილი ხელშეკრულება დღემდე ფარატინა ქაღალდად დარჩა, ვინაიდან ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია იმ მენეჯერის ვინაობა, რომელმაც ეს თანხა უნდა აითვისოს. "KFW"-ის საკრედიტო პირობების მიხედვით, ვარციხეჰესში 25-წლიანი მართვის უფლებით ბერძნულ-გერმანული ფირმა უნდა შევიდეს. თუმცა, როგორც ქონების მართვის მინისტრმა განაცხადა, ამ ფირმას საჭირო დოკუმენტაცია კრედიტის მიმღები ფინანსთა სამინისტროსთვის დღემდე არ წარუდგენია.

კომენტარი

**პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე**: ჯოზეფ სტიგლიცი არ მუშაობს სავალუტო ფონდში. იგი გაგდებულია სავალუტო ფონდიდან. ასეა საქართველოშიც. როდესაც მთავრობიდან ვინმეს გააგდებენ, იგი შემდეგ ხდება ოპოზიციონერი. სტიგლიცის პოზიციაც დაახლოებით ასეთია. მისი მოსაზრება ბევრს არაფერს ნიშნავს, თუნდაც ნობელის პრემიის ლაურეატი იყოს.

ჩვენნაირ სახელმწიფოებს, რომლებსაც მართვა არ შეუძლიათ, მიაჩნიათ, რომ სავალუტო ფონდი ეს არის მსოფლიო მთავრობა, რომელმაც ქვეყანა მის ნაცვლად უნდა მართოს. შეცდომები, მართალია, ყველას მოსდის, მაგრამ სავალუტო ფონდი რომ არა, მსოფლიოში ფინანსური წესრიგი არ იქნებოდა. ამდენად, სავალუტო ფონდის პრიმიტიული კრიტიკა არასერიოზულად მიმაჩნია. ხოლო ის, რომ ფონდის მუშაობაში პერიოდულად რაღაც კორექტივები უნდა შევიდეს, ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგადად, სავალუტო ფონდის პოლიტიკას ვეთანხმები.

რაც შეეხება კონკრეტულად საქართველოს, რომ არ იყოს სავალუტო ფონდი და ის რეკომენდაციები, ის ზედამხედველობა, რასაც ფონდის ექსპერტები ახორციელებენ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიმართ, დღეს საქართველო იქნებოდა ბანანის რესპუბლიკა. თანაც, ისეთი ქვეყანა, სადაც ბანანიც არ მოდის.

**ფრაქცია "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე**: 1994 წლიდან დაწყებული ჩვენი პოზიცია სავალუტო ფონდის მიმართ ძალიან ნეგატიურია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სავალუტო ფონდის რეკომენდაციები არ ემსახურება საქართველოში მრეწველობისა და ბიზნესის განვითარებას, ხოლო მრწველობისა და ბიზნესის განვითარების გარეშე, ბუნებრივია, საქართველოში ეკონომიკის წინსვლაზე საუბარიც კი ზედმეტია. სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ხელს უწყობს სხვა ქვეყანაში წარმოების განვითარებას და იქ წარმოებული პროდუქციის ჩვენთან რეალიზაციას. რაც მეტია ქვეყანაში იმპორტი, მით მეტია უმუშევრობა, აქედან გამომდინარე, ადგილობრივი წარმოების, ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობა უნდა იყოს და არა - იმპორტისა. საერთოდ, სავალუტო ფონდის მოღვაწეობის მიზანია, ემსახუროს ცალკეული ქვეყნების ინტერესებს და, არავითარ შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.

ჩვენთვის ასევე მიუღებელია მათი ტონი, დიქტატი და იძულება ჩვენი ხელისუფლების მიმართ, რომ გაატარონ ის ღონისძიებები, რაც მხოლოდ მათ მიაჩნიათ მიზანშეწონილად. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამას, გარკვეულწილად, ხელს უწყობს ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლების ის გუნდი, რომელიც ყოველთვის მათთან ერთად მუშაობდა და დღესაც მუშაობს.

არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში, არამედ, საერთოდ, ნეგატიურად ვაფასებ სავალუტო ფონდის მოღვაწეობას. მე, რა თქმა უნდა, არ ვარ მათი მუშაობის საკითხში ღრმად ჩახედული, მაგრამ მხარს დავუჭერდი სავალუტო ფონდის ლიკვიდაციას და არავითარ რეფორმირებას, იმიტომ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მათმა მუშაობამ ვერ გაამართლა.

**საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, ლადო პაპავა:** სავალუტო ფონდი ყოველ 10-15 წელიწადში ერთხელ იცვლის სამოქმედო სტრატეგიას. ასე რომ, სტრატეგიის შეცვლა და სავალუტო ფონდის განვითარება აშკარად სახეზეა. თუმცა, მთლიანობაში, სავალუტო ფონდს არ გააჩნია ისეთი სრულყოფილი მექანიზმი, რომლითაც შეძლებს მსოფლიოს ამა თუ იმ სახელმწიფოსა თუ რეგიონში კრიზისის თავიდან აცილებას. სამწუხაროდ, ეს რეალობაა. ხშირად სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება იმდენად დამაზიანებელ შედეგებს იძლევა, რომ კრიზისს ვერანაირად ვერ შველის. ასე მოხდა არგენტინის, მექსიკის, ბრაზილიის კრიზისთან დაკავშირებით. ხოლო ყველაზე მწვავე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კრიზისი იყო, რაც, ასე ვთქვათ, სავალუტო ფონდის ერთ-ერთ ფიასკოდ ითვლება.

მე ვეთანხმები სტიგლიცის შეფასებას. სავალუტო ფონდი მართლაც იმსახურებს კრიტიკას, რადგან ის ვერ მართავს მსოფლიოში მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკურ პრობლემებს ისეთ დონეზე, რომ კრიზისები იქნას თავიდან აცილებული, მაგრამ სავალუტო ფონდი რომ არ იყოს, ნამდვილად არ იქნებოდა უკეთესი მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ სავალუტო ფონდი, ხშირად, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ კრიტიკულ მდგომარეობაში მაინც ხელგამომწვდელი ინსტიტუტია. ეს რეალობაა. სავალუტო ფონდის გარეშე მსოფლიოში ბევრად უფრო ცუდი მდგომარეობა იქნებოდა. უბრალოდ, საჭიროა სავალუტო ფონდის სერიოზული რეფორმირება, იდეოლოგიაში და შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურებში ცვლილებების განხორციელება. ამასთანავე, უნდა გაიზარდოს სავალუტო ფონდის მონიტორინგის ფუნქცია, რომ მან შეძლოს სწორი რეაგირების გაკეთება.

სავალუტო ფონდს რეფორმაც რომ არ უშველის, ამ მოსაზრებაზე დათანხმება ნამდვილად გამიჭირდება, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჟოზეფ სტიგლიცი მონათესავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, თანაც, საკმაოდ მაღალი რანგის თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ იცნობდა სავალუტო ფონდის შიდა სტრუქტურებს და მოქმედების წესებს, შეიძლება, მას აქვს კიდეც ამის თქმის უფლება. ჩემი გადასახედიდან ამის თქმა რთულია. ჩემი აზრით, მსოფლიოში ასეთი მაკოორდინირებელი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც სტაბილურობას უზრუნველყოფს, აუცილებელია. თუ ეს არ იქნება სავალუტო ფონდი და მის ნაცვლად შეიქმნება სხვა, უფრო უკეთესი, ეს შეიძლება მისაღებიც აღმოჩნდეს. მაგრამ ის, რომ სავალუტო ფონდი საერთოდ დაინგრეს, ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ასეთ შემთხვევაში, ის ელემენტარული წესრიგიც კი, რაც მსოფლიოში მეტ-ნაკლებადაა დამყარებული, თვალსა და ხელს შორის გაგვიქრება.

რაც შეეხება სააქართველოს, კიდევ კარგი, რომ სავალუტო ფონდი არსებობს, თორემ ის მდგომარეობა, რაც დღეს ქვეყანაშია, ათჯერ და ასჯერ უფრო მძიმე იქნებოდა.

# საქართველო - მეორე კუვეიტი?

პირველი გვერდიდან

ზღვაში ორი ჭაბურღილის გაბურღვაში დაეხმარება. როგორც გია ითონიშვილი აცხადებს, საბოლოოდ ნავთობის მარაგზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როცა ჭაბურღილიდან ნავთობი ამოჩქეფს.

**"რისკი იმისა, რომ ნავთობი არ იქნება, ყოველთვის არსებობს, ეს ყველა მენავთობეს გაცნობიერებული აქვს. შესაძლოა, სწორად ვერ გათვალო ჭაბურღილის გაჭრის ადგილი ან მისი სიღრმე. მაგრამ შავ ზღვაში რომ ნავთობი არის, ამაში დარწმუნებული ვართ, თუმცა, რა რაოდენობის რესურსია, ამას ჯერ ვერ გეტყვით,"** – განაცხადა გია ითონიშვილმა.

როგორც "ანადარკოს" წარმომადგენლები აცხადებენ, მათ ჯერ დანამდვილებით არ იციან, რა რაოდენობის მარაგია მათ მიერ გამოკვლეული შელფის ზონაში, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვესტორის ძებნა ჭაბურღილების გასაჭრელად უკვე დაწყებული აქვთ. ერთი ჭაბურღილის გაჭრა კი "ანადარკოს" 30 მილიონი დოლარი უჯდება.

შავი ზღვის შელფის გამოკვლევა ნავთობრესურსების გამოსავლენად საქართველოს აკვატორიაში პირველად ტარდება. მენავთობეები ეძებენ როგორც ნავთობის, ასევე გაზის საბადოებს. გია ითონიშვილის განცხადებით, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ გაზის რესურსებია და თუ ეს უკანასკნელი აღმოჩნდება შავ ზღვაში, მისი შესყიდვის თვალსაზრისით, პრიორიტეტი საქართველოს მიენიჭება. რაც შეეხება სახელმწიფოს წილს ნავთობრესურსებში, ითონიშვილის თქმით, ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, რომ ნავთობკომპანიის მიერ მოპოვებული მარაგის 70 პროცენტი საქართველოს დარჩება.

საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს "საქნავთობის" პრეზიდენტის მრჩეველი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ: **"ბოლო მონაცემებით, საქართველოს ნავთობრესურსების რაოდენობა ორ-ნახევარ მილიარდ ტონამდე გაიზარდა. თუმცა, ეს არის მხოლოდ რესურსი, ხოლო აქედან რამდენის მოპოვებაა შესაძლებელი ან კომერციულად მომგებიანი, ეს სხვა საკითხია."**

ასე რომ, ქართველი ექსპერტები საკმაოდ იმედიანად უყურებენ, ჯერჯერობით, მითიურ ქართულ ნავთობს, რომელიც, რეალობად ქცევისა და რაციონალური განკარგვის შემთხვევაში, მართლაც შეიძლება იქცეს ქვეყნის ეკონომიკური ხსნის საშუალებად.

საზოგადოება

## ნილოსის ვირუსის ისტორია საქართველოში

მაკა ჭაიანი

დასავლეთ ნილოსის ვირუსი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე 16 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უცხო არც საქართველოსთვის გახლავთ. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, ჩვენთან, კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ასეთი ვირუსით დაავადებული ათეულობით ადამიანი დაფიქსირდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, მაშინ ამ დიაგნოზით არავინ გარდაცვლილა. იყო ერთი საეჭვო შემთხვევა, მაგრამ გვამის გაკვეთა ვერ მოხერხდა, ამდენად, დანამდვილებით ვერავინ იტყვის, დასავლეთ ნილოსის ვირუსს ემსხვერპლა თუ არა.

ეს ვირუსი ძირითადად, კოღოებით ვრცელდება. იგი არა მარტო ადამიანებს, ცხოველებსა და ფრინველებსაც აავადებს. ადამიანი ინფექციის გამავრცელებელი არ არის. საქართველოში დასავლეთ ნილოსის ვირუსი გადამფრენმა ფრინველებმა შემოიტანეს, გავრცელებით კი - კოღოებმა გაავრცელეს. მისი დიაგნოსტირება რთულია, რადგან გრიპის სიმპტომით ხასიათდება. ამის გამო, ბევრი დაავადებული არც კი მიმართავს ექიმს. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ახსოვთ შემთხვევები, როდესაც ადამიანს სისხლში ვირუსის ანტისხეულები აღმოაჩნდა, თუმცა, არ იცოდა, ეს დაავადება თუ გადაიტანა.

დასავლეთ ნილოსის ვირუსი საშიშია იმდენად, რამდენად დაუძლურებულიც შეიძლება აღმოჩნდეს დაავადებული. გრიპის მსგავსად, ისიც ორგანიზმის სუსტ წერტილებზე მოქმედებს. მაგალითად, ღვიძლის მდგომარეობა ურთულდებათ ღვიძლით, კუჭისა - კუჭით დასნებოვნებულებს და ასე შემდეგ. ასეთი ფაქტები დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს აფხაზეთში მუშაობისას დაუფიქსირებია. ენცეფალიტი, რომელიც დასავლეთ ნილოსის ვირუსს გრიპისგან ასი პროცენტით ანსხვავებს, საბედნიეროდ, იშვიათად ვითარდება. დაღუპვის მიზეზს კი სწორედ ის წარმოადგენს.

საქართველოს სხვა რეგიონებში დასავლეთ ნილოსის ვირუსი არ დაფიქსირებულა, თუმცა, არავინ იცის, რა ხდება დღეს აფხაზეთში.

## აფხაზები რადიაციული წყაროების მოძიებაზე თანხმდებიან

ნანა ქადაგიშვილი

რადიაციული წყაროების ძიების პროცესი გარემოს დამცველებმა წელს 9 ივნისიდან გააგრძელეს, მაგრამ პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის 60-მა თანამშრომელმა ორი კვირის განმავლობაში თითქმის მთელი ენგურის ხეობა ფეხით შემოიარა, მაგრამ რადიაციულ წყაროებს ვერ მიაგნეს. შეგახსენებთ, რომ გარემოს დამცველებს სსრკ-ს დროინდელი რადიოსარელეო სადგურების ნარჩენი, სავარაუდოდ, 2 რადიაციული წყარო დარჩათ მოსაძებნი. 6 მათგანი სოფ. ხაისა და წალენჯიხის რაიონში იპოვეს. ძიების მეორე ეტაპი 12 აგვისტოს დაიწყო. ექსპერტთა ჯგუფი ამჯერად სამცხე-ჯავახეთისკენ გაემართა. 24 აგვისტომდე მათ სამცხე-ჯავახეთის ყველა დასახლებული პუნქტი და ყოფილი სამხედრო ტერიტორიები შემოიარეს და წვრილ-წვრილ რადიაციულ წყაროებს მიაკვლიეს. "ყოფილ სამხედრო ტერიტორიებზე ვიპოვეთ ავტომატის სამიზნეები, რომელნიც რადიაციულ წყაროებს შეიცავს, თუმცა, მოსახლეობას სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის. ეს სამიზნეები ამოვიღეთ. სხვა რაიმე დიდი წყარო არ გვიპოვია," – გვითხრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა სოსო კაკუშაძემ. ექსპერტები რადიოსარელეო სადგურების ნარჩენის სამცხე-ჯავახეთში პოვნას არც ელოდნენ. ძიების პირველ ეტაპზე ექსპერტებს აფხაზეთის საზღვართან მდებარე ენგურის ხეობის პატარა ტერიტორია დარჩათ შეუმოწმებელი. გარემოს დამცველთა ვარაუდით, რადიაციის 2 აღმოუჩენელი წყარო შეიძლება, ამ ადგილას იყოს. ამიტომ სამინისტრო აფხაზეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აწარმოებს, რათა ქართველ ექსპერტებს რადიაციული წყაროების მოძიების ნება დართონ. როგორც სოსო კაკუშაძე ამბობს, მოლაპარაკება უშედეგოდ არ უნდა დასრულდეს. "ჩვენი ინფორმაციით, აფხაზეთის ხელისუფლება ექსპერტებს უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემს. რადიაციული წყაროების მოძიება აფხაზების ინტერესებშიც შედის. მით უმეტეს, როცა მათი არაფერი იხარჯება. ექსპერტები და ხარჯები ჩვენია, აპარატურა მგტ-მ გვაჩუქა," – გვითხრა მან. მგტ ჩვენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სექტემბრისთვის მოძრავი საძიებო ლაბორატორიების ჩუქებასაც შეპირდა. ამ აპარატურას ქართველი ექსპერტები რადიაციული წყაროების ძიების მესამე ეტაპზე გამოიყენებენ. 30 სექტემბრიდან ექსპედიცია აჭარასა და კახეთშია დაგეგმილი.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შედგენისათვის:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ალექსეი მიტროფანოვი: "შევარდნაძე ჩეჩნეთთან ომით პოზიციებს გაიმაგრებს, ოპოზიციას კი განაიარაღებს"

პირველი გვერდიდან

ინტერვიუში საუბრობს რუსეთის პარლამენტის წევრი, დეპუტატი **ალექსეი მიტროფანოვი.** რასკვირველია, მიტროფანოვის მოსაზრებები რაციონალურობისგან შორს დგას და უბრალოდ ექოა რუსეთში არსებული ისტერიისა. ალბათ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ამიტომაცაა საინტერესო.

- თქვენი აზრით, რასთან გვაქვს დღეს საქმე პანკისის ხეობაში - ძალის დემონსტრირებასთან თუ სპექტაკლთან, როგორც ამას თქვენი კოლეგები ამტკიცებენ? როგორ ფიქრობთ, რამ აიძულა შევარდნაძე, პანკისში ჯარების შეყვანა გადაეწყვიტა?

**- ჩვენი უტყუარი ინფორმაციით, შევარდნაძეზე უკანასკნელ პერიოდში სერიოზული და პრინციპული ზეწოლა მოახდინა აშშ-ს ადმინისტრაციამ. ამიტომ საქართველოს ლიდერის მდგომარეობაში შესვლა დღეს ნამდვილად შეიძლება, რადგანაც იგი ორ ცეცხლს შუა მოექცა - აქედან რუსეთმა წაუყენა ულტიმატუმი, იქიდან ამერიკამ სერიოზული სიგნალი მისცა. პანკისის ხეობაში ქართული შინაგანი ჯარების შეყვანაც ამან გამოიწვია. დღეს, ამ უაღრესად კრიმინალურ ხეობაში, სახეზე გვაქვს საქართველოზე აშშ-ს ადმინისტრაციის სერიოზული ზეწოლის ფაქტი, რასაც სხვანაირი შედეგი არც შეიძლებოდა, მოჰყოლოდა. თანაც, აშშ-ს ფინანსური დახმარების ანგარიშის გასწორების დრო მოვიდა. ჰოდა, შევარდნაძემაც ყოველივე ამის დემონსტრირება მოახდინა.**

**რა თქმა უნდა, ეს არის დადგმული სპექტაკლი - არაბი ტერორისტებისა და ჩეჩენი ბოევიკების შევიწროება რუსეთის საზღვრის მიმართულებით აშშ-ს განსაკუთრებული დავალებაა. ამ ოპერაციას მეორე მიზანიც აქვს - შევარდნაძემ უნდა აჩვენოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში საშიში სიტუაციაა შექმნილი. მან კარგად იცოდა, რომ რუსეთი აუცილებლად დაარტყამდა, სწორედ ამიტომ დაგვასწრო. ტაქტიკურად საქართველოს პრეზიდენტი აბსოლუტურად სწორად**


ალექსეი მიტროფანოვი

**მოიქცა. ამას შევარდნაძეს ნამდვილად ვერ წაართმევ: იგი პოლიტიკური ტაქტიკის დიდოსტატია!**

- თუ რუსეთი მართლა აპირებდა საქართველოზე თავდასხმას, მაშინ რატომ არ დაუსვამს წერტილს იმავე პრობლემას საკუთარ ტერიტორიაზე - ჩეჩნეთში, რატომ შინ არ დაამყარებს წესრიგს?

**- საქმე ისაა, რომ დღეს რუსი სამხედროები, უბრალოდ, აჭარბებენ, ეშმაკობენ და ფლიდობენ. მათ მშვენივრად იციან, რომ პანკისის პრობლემა გაბერილია, იციან, რომ პანკისში ისე ცუდად არ არის საქმე, როგორც ამას რუსეთის ოფიციალური პროპაგანდა გაჰყვირის. ამით ორ კურდღელს კლავენ - საკუთარ უმოქმედობას საქართველოს აბრალებენ: საიდან მოდიან ტერორისტები? პანკისიდან. ამიტომ დასცხეთ, ძმებო, ქართველებს! რატომ ვერ ვაგვარებთ ჩეჩნეთში საქმეს? ქართველების ბრალია. ყველაფერი სწორია. და მეორეც, ამ ყველაფერთან ერთად, საქართველოს დღევანდელი ლიდერისადმი შეურიგებლობის დემონსტრირებასაც ახდენენ.**

- მაინც, რომელი ქვეყნის საფრენმა აპარატებმა დაბომბეს პანკისის ხეობა?

**- ამას უკვე აღარ აქვს პრინციპული მნიშვნელობა და ვერც გავიგებთ. შევარდნაძისათვის ეს მხოლოდ მიზეზი იყო, რათა აეხსნა ქართველებისათვის, რომ საქართველო ომის რეალური საშიშროების წინაშე დგას. მთელ ამ ისტორიაში სამწუხარო ის არის, რომ, პანკისში ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებით, შევარდნაძე საკუთარ ქვეყანას ჩეჩნეთთან ნამდვილ ომში ითრევს. და ეს რეალურია.**

- თქვენ სერიოზულად ამტკიცებთ, რომ საქართველოს ჩეჩენიზაცია ან ჩეჩნეთთან ომი ელოდება?

**- ეჭვიც არ მეპარება, რადგანაც პანკისის ხეობაში მოკალათებული საერთაშორისო ტერორისტებისა და დაქირავებული ბოევიკების განადგურება მხოლოდ ქიმიური იარაღის გამოყენებითაა შესაძლებელი და არა დღევანდელი ქართული არმიით. ვინც იცის, რას წარმოადგენს პანკისის ხეობა, ამაში დამეთანხმება. ვიმეორებ, პოლიტიკური ტაქტიკიდან გამომდინარე, შევარდნაძე სწორად იქცევა - თუნდაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო. ჯერჯერობით, ქართველებს სჯერათ, რომ შევარდნაძე ამ ორ რეგიონს საქართველოს დაუბრუნებს. ეს არ მოხდება! პანკისის ჩეჩენიზაცია კი, დიდი ხანია, დაწყებულია. ყველა პრობლემას თუ გადაწყვეტს საქართველო, შევარდნაძე აუცილებლად მოიგონებს რაიმე ახალს, მაგალითად, ჩინეთის პრობლემას.**

- მიზანი?

**- მიზანი ერთი აქვს: საკუთარი ხელისუფლების შენარჩუნება, იმის გაგრძელება, რაც დღეს ხდება საქართველოში. შევარდნაძის ფენომენი სწორედ ის გახლავთ, რომ მსგავსი გართულებების დროს მას ძალა ემატება, მისი გავლენა და ავტორიტეტი იზრდება. როგორც კი ქვეყანაში სტაბილურობაა, მისი რეიტინგი ნოლზე დადის, ხოლო როცა საქართველოში სიძნელეებია, იგი ხალხის კონსოლიდაციას ახერხებს. ამ დროს ძალზე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება ქართული ოპოზიცია, რომელსაც რეჟიმი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდებს.**

- დღეს მოსკოვში იმასაც ამბობენ, რომ რუსეთს აშშ-სა და საქართველოს წაჩხუბება სურს.

**- ამერიკას დღეს ერთადერთი მიზანი აქვს - ქართული კარტი ერაყში გაცვალოს. რუსეთი ანტიტერორისტული კოალიციის ყველაზე ანგარიშგასაწევი წევრია ამერიკისათვის, ამიტომ იგი საქართველოში ბევრ რამეზე დახუჭავს თვალს, ოღონდაც ერაყში სამხედრო ოპერაციაზე რუსეთის მანდატი მიიღოს. რუსეთსაც სჭირდება აშშ-ს მხარდაჭერა ჩეჩნეთში, ასე რომ, ისინი ერთმანეთის შესაფერისები არიან. არავინ აპირებს საქართველოსათვის ჩხუბს, ეს ყველაფერი ტაქტიკური თამაშებია.**

- თქვენი აზრით, როგორ განვითარდება რუსეთთან ურთიერთობები? მართლა მივალთ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდე?

**- მოსკოვიდან ელჩის გაწვევის მუქარაც თბილისის ტაქტიკაა. საქართველოს რუსეთთან მუდმივი დაძაბულობა სჭირდება. მაგრამ საქმე აქამდე არ მივა, ეს შეუძლებელია. რაც შეეხება პანკისს, იქ საქმე მეტად სერიოზულადაა: მდგომარეობა აუცილებლად გართულდება და ჩეჩნეთთან ომით დამთავრდება, რითაც შევარდნაძე თავის პოზიციებს კიდევ დიდი ხნით გაიმყარებს, ოპოზიციას კი განაიარაღებს.**

სამართალი

## მსხვილი ყაჩაღობა ანტიკრიმინალური ოპერაციის პარალელურად

პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის მსვლელობის სამი დღის თავზე, როცა შეიარაღებული ძალები და პოლიციის დანაყოფები პანკისის ხეობის სიღრმეში შეღწევითა და ახალ-ახალი საგუშაგოების გახსნით იყვნენ დაკავებულნი, კახეთის ცენტრში – თელავში მსხვილი ყაჩაღობა მოხდა.

ყაჩაღები სახლში თავს დაესხნენ თელავის სუპერმარკეტის მომმარაგებელს სიმონ გოგიცირიძეს. ნიღბებით სახედაფარულმა, ავტომატებით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა მსხვერპლს 6 ათასი დოლარი, 3 ათასი ლარი და სხვა ძვირფასეულობა წაართვეს. თავდასხმა მაღაზიის მომმარაგებელზე იმ დროს მოხდა, როცა სიმონ გოგიცირიძე მაღაზიის მოსამარაგებლად საჭირო პროდუქტების საყიდლად ლილოს ბაზრობაზე აპირებდა წასვლას.

თელავის პოლიციისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ თავდამსხმელები სამნი იყვნენ, სხვა ინფორმაციას კრიმინალთა შესახებ პოლიცია არ ფლობს.

ამ კრიმინალურ ისტორიაში ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ ყაჩაღობა მოხდა კახეთში - იქ, სადაც დღეს მთელი საქართველოს პოლიციაა თავმოყრილი ანტიკრიმინალური ოპერაციების ჩასატარებლად. თელავში, სადაც ანტიკრიმინალური ოპერაციის მთავარი შტაბია განლაგებული, ფაქტობრივად, მინისტრისა და სხვა ძალოვანი მაღალჩინოსნების ცხვირწინ, ყაჩაღებმა დანაშაულიც ჩაიდინეს და მიიმალნენ კიდეც.

## გამომძალველი პაპარაცო დააკავეს

თამარ კაციტაძე

ანდრონიკ ტოროსიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა სწორედ იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი, თავის მეგობარ ჟანა ბიწაძესთან ერთად, თბილისელ ყაზბეგ ხაჩატურიანს 3 ათას აშშ დოლარს სძალავდა.

დანაშაული მეგობრებმა დიდი ხნის წინ დაგეგმეს. გამომძალველები ხაჩატურიანს მაკომპრომეტირებელი მასალების – რეპუტაციის შემლახავი ფაქტების გამოქვეყნების მუქარით, აიძულებდნენ დასახელებული თანხის დანიშნულ ადგილზე მიტანას. მაგრამ გამომძალველ "პაპარაცოებს" ამ შემთხვევაში არ გაუმართლათ.


ანდრონიკ ტოროსიანი
იური ლობოდინის ფოტო

გამოძალვისთვის ადრე ერთხელ უკვე ნასამართლევი, ცნობილი თაღლითი ანდრონიკ ტოროსიანი ამჯერად შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ ფულის გამოძალვის მუხლით აღიძრა. ჩხრეკისას ამოღებულია ყაზბეგ ხაჩატურიანის მაკომპრომეტირებელი ფოტოები და აგრეთვე აპარატურა, რითიც მათ მსხვერპლისთვის შანტაჟის მოწყობა მოახერხეს.

დანაშაულის მთავარი მოქმედი გმირი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, მისი მეგობარი ჟანა ბიწაძე კი ჯერჯერობით იმალება.

როგორც შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა ჯაბა ჯანხვეთელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, "ამ ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა შანტაჟის გზით ფულის გამოძალვის შემთხვევები. დღეისათვის დაკავებულია რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც სცადეს მაკომპრომეტირებელი მასალების შექმნითა და გამოქვეყნების მუქარით ხალხისთვის ფულის გამოძალვა".

## გაქცეული პატიმარი ჩაძინებულმა გუშაგმა საპყრობილეში დააბრუნა

ხათუნა ჯანგირაშვილი

ქურდობის, ყაჩაღობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ორი წლის წინ გასამართლებულმა უკრაინელმა რომან ეფრიშენკომ ქართული ციხიდან გაქცევა უკვე მეორედ სცადა. თუმცა, გაპარვის ეს მცდელობაც, როგორც პირველი, მისთვის უშედეგოდ დასრულდა.

მას შემდეგ, რაც რომან ეფრიშენკომ, თანამზრახველ პატიმართა ჯგუფთან ერთად, მიწისქვეშა გვირაბით ქსნის კოლონიიდან გაპარვა სცადა, მის სამმუხლიან სასჯელს კიდევ ერთი – სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობა და, შესაბამისად, ოთხწლიანი პატიმრობა დაემატა. მსჯავრდებულს პატიმრობის ვადა ექვს წელში ეწურებოდა. თუმცა, მორიგი გაქცევის (ამჯერად - ავჭალის მეექვსე კოლონიიდან) მცდელობის გამო, მას, სავარაუდოდ, კიდევ ოთხ წელს დაუმატებენ.

გუშინწინ, გვიან ღამით ავჭალის კოლონიაში ახალგადაყვანილმა ეფრიშენკომ, მარტომ შეძლო ციხის საგუშაგოებს შორის არსებული დამცავი კედლის გადალახვა. მისი დაკავება პერიმეტრის გასწვრივ, ძირითად კედელთან გუშაგის მიერ ცეცხლის გახსნის შემდეგ მოხდა.

**"გამაფრთხილებელმა გასროლამ გაქცეული შეაშინა. მიწაზე დაწვა და აღარც ადგა",** - გვითხრა საკუთარი ქვეშევრდომების ოპერატიული მოქმედებით კმაყოფილმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა მხეიძემ. მისივე თქმით, არსებობს ვერსია, რომ დაკავებულს თანამზრახველი ჰყავდა. პატიმარი ამჟამად მეხუთე საპყრობილეში იმყოფება და მის წინააღმდეგ უკვე მესამედ აღძრულ საქმეზე გამოძიებას ჩვენებებს აძლევს.

გამოჩენილი ოპერატიულობისთვის, ხელმძღვანელის ქება დაიმსახურეს რუსთავის მეორე კოლონიის გუშაგებმაც. ამ კოლონიის პატიმარმა, ყაჩაღობისთვის ნასამართლევმა გაბრიელ ცარციძემ, ეფრიშენკოს მსგავსად, გაქცევა სცადა. ცარციძემ გაქცევისთვის ხელსაყრელი დრო ამოარჩია – ცენტრალური ხაზის დაზიანების გამო რუსთავის მეორე კოლონიას ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ამ მიზეზით, ადგილზე სიტუაციას აკონტროლებდა თბილისიდან რუსთავში გადასროლილი სპეცნაწილის დანაყოფი. გაბრიელ ცარციძე არც მათ შეუშინდა. პატიმარი სიბნელეში უპრობლემოდ გადაცოცდა კოლონიის ძირითად კედელზე და თავისუფალ ზონაში – ციხის გარეთ აღმოჩენილი რუსთავის პირველი კოლონიისკენ მიმავალ გზას გაუდგა. მოულოდნელად იგი გზაზე ჩაძინებულ გუშაგს გადაეყარა, რომელსაც გინება დაუწყო, გააღვიძა და გამოაფხიზლა. სწორედ ხმამაღალი გინება გახდა მისი ციხეში უკან დაბრუნების მიზეზი. დაკავებული პატიმარი ამჟამად რუსთავის მეორე საპყრობილის კარცერში იმყოფება. არადა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ციხის მაღალ კედელზე გადამძვრალი გაბრიელ ცარციძე ოთხ სექტემბერს, ანუ ერთ კვირაში, ვადაზე ადრე უნდა გათავისუფლებულიყო პატიმრობიდან.

## ინციდენტი ღრმაღელეში

გუშინ დილით, ღრმაღელის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ სასადილოში, აფხაზეთიდან დევნილი მამუკა მელქაძე "ფ-1" ტიპის ხელყუმბარით შევარდა და მის განსაიარაღებლად სასადილოში შესულ პოლიციის თანამშრომლებს აფეთქებით დაემუქრა.

შსს-ს ცნობით, ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე მელქაძემ მუხიანის დასახლებაში მდებარე საცხოვრებელი სახლი დააყაჩაღა. ჩვენი ინფორმაციით, შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა მელქაძის აყვანის ოპერაცია გუშინ, დილაადრიან დაგეგმეს. პოლიციისთვის ცნობილი იყო როგორც დამყაჩაღებელთა ვინაობა, ისე გასაქურდი ბინის შესახებ ინფორმაციის გამცემის ვინაობა და დაყაჩაღების სავარაუდო თარიღი.

დასაყაჩაღებელი სახლის კონტროლზე ასაყვანად მისულ პოლიციას მელქაძე ხელიდან დაუსხლტდა. სასადილოში შევარდნილმა, ყაჩაღობაში ეჭვმიტანილმა პოლიციელებს ხელშეუხებლობის გარანტია მოსთხოვა, უარის შემთხვევაში კი მათ ხელყუმბარის აფეთქებით დაემუქრა.

ნახევარსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ქურდობის განყოფილების უფროსმა ალეკო თალაკვაძემ, რომელიც მელქაძის აყვანის ოპერაციას ხელმძღვანელობდა, დამნაშავესთვის ხელყუმბარის ჩამორთმევა მოახერხა, რის შემდეგაც მელქაძე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, პირადი ჩხრეკის ჩატარებისას მელქაძეს აღმოუჩინეს "აკმ"-ის სისტემის ლაზერული ავტომატი და გაქურდული ბინიდან წამოღებული 1400 დოლარი. ასევე, ნაძარცვი ოქროეულობა, რომლის ნაწილიც მელქაძეს კისრიდან ჩამოხსნეს.

შსს-ს განცხადებით, მელქაძის პარტნიორმა გუშინ გაქცევა მოახერხა.

შსს-ში გუშინვე დაიკითხა მელქაძე, ჩატარდა გაქურდული სახლის პატრონთან დაპირისპირების ღონისძიება. გაქურდულმა ასაკოვანმა მამაკაცმა, რომელიც ყაჩაღმა სკოტჩით დააბა, მელქაძე ამოიცნო. შსს-ში გუშინ გვიანობამდე გრძელდებოდა მელქაძის საქმის მოკვლევა.

www.24hours.ge 24 B

# ჰოლივუდელი ევროპული გემოვნებით

## ამერიკული ობიექტივით აღქმული საქართველო

ბიძინა მაყაშვილი

როცა მის ავტობიოგრაფიას გადავხედე, პოპულარული ფილმის, "მიმინოს" გმირის სიტყვები გამახსენდა: Каждый день Иштояна видит... ბევრს შეხვედრიხართ თბილისში ადამიანს, ვისაც ჯულია რობერტსთან, კეტრინ ზეტა-ჯონსთან, ჯონ კიუზაკთან, სიუზენ სარანდონთან, დასტინ ჰოფმანთან, მელ გიბსონთან, დაიან კიტონთან და რობინ ვილიამსთან (სია არასრულია და და დანარჩენებზე მოგვიანებით მოგახსენებთ) ერთად უმუშავია?

ფიდონ პაპამაიკლი კინო-ოპერატორია ჰოლივუდში. ის წელიწადში, საშუალოდ ნახევარ მილიონ დოლარს აკეთებს და შეძლებისდაგვარად ხარჯავს. ამასწინათ, მეგობრებს ესტუმრა თბილისში და ჩვენ რედქციაშიც მოხვდა.

მისი ცხოვრება სამ ქვეყანასთან - საბერძნეთთან, გერმანიასთან და ამერიკასთან არის დაკავშირებული. ალბათ ამიტომაც არის მასში გაერთიანებული ხმელთაშუაზღვისპირული უზრუნველობა, ევროპული ინტელექტი და ამერიკული პრაგმატიზმი.

ის საბერძნეთში დაიბადა, 1960 წელს. კინოს სამყაროს ბავშვობიდანვე ეზიარა. ხუთი წლის იყო, როცა მამამ ამერიკაში წაიყვანა. მამა მაშინ დიდ რეჟისორთან, ნიკ კასავატესთან მუშაობდა სამხატვრო რეჟისორად. სწორედ იმის გამო, რომ მამამისს დაჰყვებოდა ფილმებზე, ვერ აისრულა ბავშვობის ოცნება და ვერ გახდა მხატვარი - ის სიურელიზმით იყო გატაცებული. 15 წლის იყო, როცა ფოტოკამერა აიღო ხელში; 16 წლისამ კი გერმანიის მოქალაქეობა მიიღო და ხელოვნებას მიუნჰენში ეუფლებოდა. ოპერატორობით გოდარის ფილმების ნახვის შემდეგ დაინტერესდა. სპეციალური განათლება არ მიუღია - უბრალოდ, მოკლე ფილმების გადაღება დაიწყო მეგობრებისათვის.

პირველი მხატვრული ფილმი, 24 წლის ასაკში, ლოს ანჯელესში, რეჟისორ როჯერ კორმანთან გადაიღო (საერთოდ, მასთან ერთად ორი წლის განმავლობაში შვიდი ფილმი აქვს გადაღებული). ამ მცირე ბიუჯეტიანი ფილმის გადაღება სამ კვირაში მოახერხეს; დღეში 18 საათს მუშაობდნენ და 60 სცენას იღებდნენ. მისი თქმით, ეს კარგი ვარჯიში იყო, რადგან ჰოლივუდში დღეში ათ სცენას იღებენ, ხოლო, როცა მოგვიანებით ნანა ჯორჯაძესთან მოუწია მუშაობა "27 დაკარგულ კოცნაზე", იქ დღეში მხოლოდ ორი სცენის გადაღებას ახერხებდნენ.

მანამდე საქართველოზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. 1999 წელს კი ბერლინიდან ერთი საინტერესო სცენარი მიიღო, რომელიც ირაკლი კვირიკაძის დაწერილი აღმოჩნდა. დაინტრიგდა მისი პოეტურობით: ის სრულიად სხვა იყო, ვიდრე ნებისმიერი ამერიკული სცენარი. საბოლოოდ თანხმობა განაცხადა და ასე მოხვდა პირველად თბილისში ჯორჯაძის ფილმის ოპერატორად.

თბილისმა მოაჯადოვა: "საქართველო ჩემთვის ხმელთაშუაზღვისპირული კულტურაა; ყველაზე ევროპული რამ აზიაში." მისივე სიტყვებით, აქ უნიკალური გამოცდილება მიიღო. თავიდან, სანამ შეეგუებოდა, ცოტა გაუჭირდა; ჰოლივუდისგან განსხვავებით, სადაც ყველას კონკრეტული საქმე აქვს, აქ ის ყველაფერში იყო ჩართული. თანაც, მოგეხსენებათ ქართულად ორგანიზებული საქმე - ყველა თავის ჭკუაზე დადის, ვისაც როდის უნდა, მაშინ მიდის გადაღებაზე. მაგრამ, ამის მიუხედავად, კმაყოფილი დარჩა: "ფილმს რომ ვაკეთებდე, რაც შეიძლება მეტ ქართველს ავიყვანდი."

ფილმმა 2000 წელს გრან-პრი მიიღო ნიუ იორკის და ავინიონის ფესტივალებზე, პუბლიკის ჯილდო დაიმსახურა მონპელიეში და აგრეთვე, აღინიშნა "კოდაკის" პრიზით, როგორც საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი.

პაპამაიკლს ჯორჯაძემდეც უმუშავია ევროპელ რეჟისორთან. ეს იყო 1999 წელს. რამდენიმე თვის წინათ, რომელიღაცა ქართულმა ტელეარხმა აჩვენა ცნობილი გერმანელი რეჟისორის ვიმ ვენდერსის ფილმი მელ გიბსონის მონაწილეობით, "სასტუმრო მილიონ დოლარად", რომლის ოპერატორი ფიდონ პაპამაიკლი იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ლოს ანჟელესში გადაღებული ფილმი, ამერიკული ფულით გაკეთდა და ჰოლივუდის პროდუქტი იყო:

"ევროპაში ყველაფერი ძალიან განსხვავდება, მუშაობა ბევრად უფრო შემოქმედებითია. ამერიკაში ფილმის გადაღებისას თავს დიდი მანქანის ნაწილად გრძნობ. ევროპაში და თქვენთან შემოქმედებითობა



ფიდონ პაპამაიკლი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ფასდება; მიუხედავად იმისა, რომ არ არის განათება, ფული, აღჭურვილობა, კინემატოგრაფისადმი სიყვარული გამხნევებს. ეს კი ამერიკაში უკვე გაქრა".

ფიდონი ამაყობს, რომ ამერიკაში მას არ თვლიან ჰოლივუდის პროდუქტად: "მსოფლიო წალეკა ამერიკულმა კინომ. თვით გერმანიაში დიდი ბრძოლა უხდებათ ამერიკულ პროდუქციასთან. საფრანგეთის ეკრანებზე ამერიკული კინოს წილმა არ უნდა გადააჭარბოს 60 პროცენტს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამერიკული ფილმების 20 პროცენტი საკმაოდ კარგია. ეს კი უკვე დაახლოებით ას ფილმამდეა, რაც თქვენთან შედარებით (ორ წელიწადში ერთი ან, ორი ფილმი), ძალიან ბევრია."

ფიდონს ასზე მეტი სარეკლამო რგოლი და მუსიკალური ვიდეო აქვს გადაღებული; მათ შორის, U2-ს ორი სიმღერა, The Ground Beneath Her Feet და Stuck In A Moment. ათიოდე წლის წინ, მან ტელევიზიაშიც სცადა ძალები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თვით ოლივერ სტოუნის მიერ პროდიუსირებულ ნოვატორულ მინი-სერიალს იღებდა და კოპოლასთან თანამშრომლობდა, ეს საქმიანობა არ მოეწონა. ის მეტად ორიგინალურად ახასიათებს დიდ რეჟისორს: "სტოუნი ერთობ საინტერესო მანიაკი და პიროვნებაა".

მას სხვა რეჟისორებზეც აქვს რაღაც სათქმელი: "მიუხედავად სახელისა, ვიმ ვენდერსსაც უხდება ბრძოლა დაფინანსებისთვის. ამერიკელები არაკომერციულობის გამო არ აფინანსებენ; მისი ძირითადი წყარო გერმანიის მთავრობაა".

"საერთაშორისო წარმატების მიუხედავად, ნანა ჯორჯაძეს 3 წელი დასჭირდა ახალი პროექტისთვის ფულის მისზადიდად. მისმა "შეყვარებულმა მზარეულმა" ფული ვიდეო-გაქირავებით მოიტანა".

"დაიან კიტონიც (ჩვენი მაყურებელი მას პირველად შეხვდა, როგორც მსახიობს კოპოლას "ნათლიაში") მომწონს. ის მაქსიმალისტია. მან ძალიან კარგი ფილმი გადაიღო, მაგრამ ფილმს ძალიან ცუდი დისტრიბუცია ჰქონდა. ამის შემდეგ კარგი ფილმი არ ჰქონია".

"ვუდი ალენს არასდროს ექნება კომერციული წარმატება. თუმცა, ალბათ ერთადერთი რეჟისორია, რომელიც 10-15 მილიონად, წელიწადში ერთი ფილმის გადაღებას ახერხებს."




"ამერიკის ფავორიტები"




"სასტუმრო მილიონი დოლარად"




"ფენომენი"

წერილის დასაწყისში ნახსენებ უამრავ დიდ სახელთან ურთიერთობის შედეგად, მას თითოეულზე საკუთარი აზრი ჩამოუყალიბდა. შეიძლება ცოტა სტერეოტიპულად ჟღერდეს, მაგრამ საინტერესოა, რომ ბევრი კინო-გმირის ეკრანული სახე, საკმაო დოზით აისახება ამ ვარსკვლავების პიროვნულ თვისებებზე:

"საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ყველა ყველაფერს აკეთებს და ეხმარება ერთმანეთს, ამერიკაში გაყოფილია მსახიობები და მუშა ჯგუფი. ჯულია რობერტსი, რომელიც ფილმზე 20 მილიონს აკეთებს, ახლოს არავის იკარებს. გადაღებაზე დადის თავის სტილისტთან, გრიმიორთან, პარიკმახერთან, მძღოლთან და ხუთ პირად მცველთან ერთად".

"დასტინ ჰოფმანი, რომელიც ბევრად უფრო სერიოზული მსახიობია, ფანტასტიკური პიროვნებაა და ძალიან კარგად ექცევა ჯგუფს; მათთან ერთად დადის ბარში დასალევად და ყველასთვის ყიდულობს ჰოთ-დოგებს. მას უყვარს კინო და მუშაობს ფილმისთვის; რობერტსი კი ყველაფერს მხოლოდ ფულისთვის აკეთებს - მას არ უყვარს კინო".

"რობინ ვილიამსი კარგი ადამიანია და სამუშაო ჯგუფთანაც ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს ხოლმე".

"საერთოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული რეჟისორზე, თუ ის მთლიანად გატაცებულია ფილმით, მაშინ ყველას ჩაითრევს ამ პროცესში, თუ მხოლოდ ფულზეა..."

ფიდონის აზრით (რომელსაც ძნელია არ დაეთანხმო), ამერიკაში რეჟისორები ისე ღრმად არ არიან ჩართულნი ფილმის სიუჟეტის განვითარებაში, როგორც ევროპაში. ამ მხრივ საქართველო ევროპული კინემატოგრაფის კლასიკური მაგალითია (უბრალოდ, ფული აქ ბევრად ნაკლებია). ამერიკის კინოინდუსტრიაში ხელფასები მაღალია, თუმცა პენსია მცირეა. ფილმის ელქტრიკოსის საშუალო წლიური ხელფასი ასი ათასი დოლარია, ოპერატორის კი - ნახევარი მილიონი. ასე რომ, ფიდონი წელიწადში ერთ ან ორ ფილმზე მუშაობს და შეუძლია, ორი წელი დაისვენოს.

"ქართულ კინოს აქვს ტრადიციები და მსოლფიომ იცის ეს. როგორც ვნახე, საქართველოში კინო უკანასკნელ ხანებში მხოლოდ უცხოური ფულით კეთდება, თანაც, არამომგებიანია. კინოს ტრადიციების აღდგენისთვის საჭიროა კორპორაციული სპონსორების მოზიდვა. საქართველოში კარგი ფილმის გადაღება ერთ მილიონ დოლარად შეიძლება. აქ, ფაქტობრივად, ყველაფერია: მდინარეები, ტბები, უდაბნოები, მთები და ზღვა; ძველი და კლასიკური ქუჩები. ყველაფერი, რაც ჰოლივუდში უნდა დაამზადონ, აქ ბუნებრივად არსებობს. ამერიკელები ამისთვის პრაღას, ბუდაპეშტს და ბელგრადს იყენებენ. თქვენნაირი ქუჩების აშენება ძალიან ძვირი ჯდება. თქვენი პრობლემები უფრო აღჭურვილობასთან და ტრანსპორტთან არის დაკავშირებული. და ცხადია, არაორგანიზებულობა ძალიან გიშლით ხელს".

ფიდონი თვლის, რომ საქართველოს ბევრი საერთო აქვს საბერძნეთთან. თუმცა, ზოგადი განათლების დონე აქ ბევრად მაღალი ყოფილა: "ხალხი ნაკითხია და ბევრი უკრავს; ძალიან ბევრია ხელოვნებით გატაცებული".

საქართველოს მსგავსად, საბერძნეთიდანაც ხდება კადრების გადინება. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ კორუფციას, დისციპლინას და გადასახადების გადახდის დონეს, მაშინ ჩვენი სამშობლო ელინებს დაახლოებით 30 წლით ჩამორჩება. "ხალხი გადასახადებს არ იხდის, რადგან იცის, რომ ეს ფული ვიღაცის ჯიბეში მიდის. საჭიროა ახალი შრომითი ეთიკა - პროევროპული. ახალ თაობას ეს უკვე აქვს. საბერძნეთმა ეს უკვე გაიარა, ხალხი იმდენს მუშაობს, როგორც არასდროს. თანაც, იქ გადასახადებს თუ არ იხდი, ვერ იყიდი, ვთქვათ, მანქანას - ცნობას თხოულობენ. უკანასკნელ ხანებში, საბერძნეთში ცხოვრების დონე ძალიან გაიზარდა. ჯანდაცვა და განათლებაც უფასოა".

ფიდონი ისეთი ამაღელვებელი სიმშვიდით და რწმენით ლაპარაკობს თავის სამშობლოს ნათელ მომავალზე, რომ გჯერა - საბერძნეთს შეუძლია ცივილიზაციის იმ დონეს მიაღწიოს, სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოში რომ გვასწავლიდნენ. მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?

ფიდონს ცხადია, ამაზეც აქვს პასუხი, რომელიც მე ძალიან ოპტიმისტურად მიმაჩნია: "საქართველო არასტაბილურ რეგიონშია, მაგრამ პატარა ქვეყანაა. მისი ინფრასტრუქტურის აღდგენა ბევრად იოლია, თუმცა, ახლანდელ მთავრობას ამის სურვილი არ ეტყობა".

### რაგბი

## ზღვისპირული მარში

ქართული რაგბის ბოლოდროინდელი წარმატებები მთლიანად ეროვნული ნაკრების "სინდისზეა", თუმცა, გუშინდლიდან ქართული რაგბის საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა კლუბებსაც დაევალათ.

დაახლოებით ორი თვის წინ დაწყებულ ევროპის რეგიონთა თასის გათამაშებაში გუშინწინ აჭარის რეგიონის ნაკრები ჩაერთო. იმის გამო, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ზღვისპირა რეგიონი ბათუმის "დათვებით" არის წარმოდგენილი, რეგიონის ნაკრებიც ამ გუნდის წევრებითაა დაკომპლექტებული.

თასის მეთექვსმეტედფინალში ქართველი მორაგბეების მეტოქე დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის რეგიონის ნაკრები იყო. ამ მატჩზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, მასზე ანგარიშიც მეტყველებს – ბათუმელებმა 61:0 გაანადგურეს მეტოქე და გავიდნენ მერვედფინალში, სადაც გაცილებით ძლიერი მეტოქე ელით უელსის კარდიფის რეგიონის გუნდის სახით.

### კალათბურთი

## ინდიანაპოლისამდე

29 აგვისტოს ამერიკის ქალაქ ინდიანაპოლისში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. გუნდებმა ამერიკაში უკვე მოიყარეს თავი და ტურნირის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო შეხვედრებს ატარებენ. ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ამხანაგურ მატჩში გერმანელებს შეხვდა. მასპინძლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად გაიმარჯვეს – 91:73.

პროფესიონალთა შორის ყველაზე შედეგიანი ჟერმენ ო`ნილი აღმოჩნდა. მის ანგარიშზე 15 ქულაა. გერმანელთაგან კი, დირკ ნოვიცკიმ ისახელა თავი (23 ქულა). სტეფანო გარისთან შეჯახებისას, რეჯი მილერმა ტრავმა მიიღო და მოედანზე აღარც დაბრუნებულა, რამაც ამერიკელ გულშემატკივარი გაანაწყენა.

ჯერჯერობით, უცნობია, თუ რამდენად სერიოზულია მილერის ტრავმა. გულშემატკივრები შიშობენ, რომ თუ მათი კერპი არ ითამაშებს, აშშ-ის ნაკრებს ჩემპიონატის მოგება, შეიძლება, გაუჭირდეს კიდეც. ამ აზრს კალათბურთის სპეციალისტებიც იზიარებენ.

მსოფლიო ჩემპიონატის წინ უქმად არც არგენტინის ნაკრებია. ლათინოამერიკელებმა, დეტროიტში მიმდინარე ამხანაგურ ტურნირზე, თურქებს მოუგეს (98:70). გამარჯვებულთაგან შედეგიანი თამაშით თავი ისახელა ემანუელ ჟინობილიმ, რომელიც მოედანზე მხოლოდ 20 წუთი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, თავის გუნდს 23 ქულა მოუტანა. ანდრეა ნოსიონის ანგარიშზე 14 ქულა და 5 მოხსნაა. აღსანიშნავია, რომ თურქები მოედანზე თავისი ორი ლიდერის – მირსად თურქანისა და ხიდაიეთ თურქოღლუს გარეშე გამოვიდნენ. მწვრთნელმა მათ დასვენების საშუალება მისცა.

სიახლეა ლიტვის ნაკრების ბანაკშიც. უფრო სწორად, მისი ლიდერის, არვიდას საბონისის კარიერაში. 37 წლის გიგანტმა თავის კლუბთან "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, საუკეთესო პირობებით-საბონისის ხელფასი შვიდი მილიონი დოლარია.

საბონისი დიდი კალათბურთელია და მისი არყოფნა გუნდს საგრძნობლად დაასუსტებს, იგი ერთადერთი ცენტრია, რომელსაც შაკილ ო`ნილთან თანაბარი პაექრობა შეუძლია, ასე ფიქრობენ პორტლენდში.

### ჩოგბურთი

**ამერიკის ღია ჩემპიონატი. ვაჟები**

*ნიუ-იორკი.*
*26 აგვისტო - 8 სექტემბერი*
*საპრიზო ფონდი*
*4 774 000 დოლარი. ჰარდი*
*შარშანდელი გამარჯვებული*
*ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)*

**პირველი წრე**

ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) – დავიდ სანგუინეტი (იტალია) 6:2, 7:5, 3:6, 6:4

ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) – რადოსლავ ლუკაევი (ბულგარეთი) 6:4, 1:6, 6:4. 6:4

რამონ დელგადო (პარაგვაი) – ალექსეი ბოგომოლოვი (აშშ) 6:3, 6:7 (6:8), 0:6, 6:4, 7:5

ფელიჩანო ლოპესი (ესპანეთი) – ანდრე სა (ბრაზილია) 7:5, 7:6 (7:1), 6:3

ანტონი დიუპიუ (საფრანგეთი) – ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:3, 4:2 (გაუდენციმ თამაში შეწყვიტა)

ჰარელ ლევი (ისრაელი) – ანდრეი პაველი (რუმინეთი 30) 1:6, 7:6 (9:7), 4:6, 6:3, 6:4

მაქსიმ მირნი ( ბელარუსი, 32) – ატილა სავოლტი (უნგრეთი) 7:6 (7:4), 7:5, 0:1 (სავოლტიმ თამაში შეწყვიტა)

ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 25) – ბრაიან ვაჰეილი (აშშ) 6:7 (3:7), 6:3, 6:3, 7:6 (7:5)

ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) – ედვინ კემპესი (ჰოლანდია) 6:4, 3:6, 6:3, 6:7 (4:7), 6:3

იუნეს ელ აინუაუი (მაროკო, 20) – ჯეფ მორისონი (აშშ) 6:7 (6:8), 6:3, 6:2, 7:5

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 13) – ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1, 6:3, 4:6, 7:5

რობინ სოდერლინგი (შვეიცარია) – ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 7:6 (9:7), 6:0, 6:4

იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) – ლუის ხორნა (პერუ) 6:4, 7:6 (7:3), 4:6, 6:4

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 8) – მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:2, 6:4, 3:6, 6:3

მაიკლ ჩანგი (აშშ) - ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:6 (8:6), 3:6, 6:4, 7:6 (7:3)

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) – მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 4:6, 6:3, 7:6 (7:3), 5:7. 3:2 (ანჩიჩმა თამაში შეწყვიტა)

მარსელო რიოსი (ჩილე, 22) – იონას ბიორკმანი (შვედეთი) 1:6, 6:2, 6:4, 6:1

ჰიშამ არაზი (მაროკო) – ოლივიე როშუ (ბელგია) 6:2, 6:2, 6:4

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 14) – რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) ( 6:1, 5:4 (კრაიჩეკმა თამაში შეწყვიტა)

ანდრე აგასი (აშშ, 6) – რობი ჯინეპრი (აშშ) 6:3, 6:3, 6:3

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 21) – ტოდ მარტინი (აშშ) 6:2, 6:3, 0:6, 7:5

უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) – იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:4, 7:5

**ქალები**

*გასული წლის ჩემპიონი*
*ვინუს უილიამსი*

**პირველი წრე**

ანჟელიკ ვიდაია (ინდონეზია) – ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:3, 6:0

ელენა დემენტიევა (რუსეთი, 12) – საორი ობრატა (იაპონია) 6:2, 6:4

სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) – ალექსანდრა სტივენსონი (აშშ, 31) 6:4, 5:7, 6:3

სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) – ან კრემერი (ლუქსემბურგი, 19) 7:6 (7:3), 6:2

ბეა ბილეკი (აშშ) – რენატა ვორაკოვა (ჩეხეთი) 6:4, 6:4

სილვია ფარინა-ელია (იტალია, 13) – ბრი რიპნერი (აშშ) 6:1, 6:4

ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 5) – გრეტა არნი (გერმანია) 6:2, 6:2

დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 11) – ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:2, 6:1

დაია ბედანოვა (ჩეხეთი, 20) – ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:1, 6:3

დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) – მეილინ ტიუ (აშშ) 6:0, 6:4

ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) – მარია გენზნენგე (ბულგარეთი) 6:0, 7:5

იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) – ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:0, 6:0

კარა ბლეკი (ზიმბაბვე) – მარია ემილია სალერნი (არგენტინა) 6:3, 6:7 (8:10), 6:4

კატერინა სრებოტნიკი (სლოვენია) – ლაურა გრანვილი (იტალია) 6:3, 6:4

ელენა ბოვინა (რუსეთი) – კლარისა ფერნანდესი (არგენტინა) 7:6 (7:5), 7:6 (8:6)

ტატიანა პანოვა (რუსეთი, 22) – ლილია ოსტერლო (აშშ) 6:1, 6:1

ლინდსეი დავენპორტი (აშშ, 4) – ევა დიურბერგი (დანია) 6:2, 6:1

ნატალი დეში (საფრანგეთი, 26) – მაია მატევჟიჩი ( სლოვენია) 6:3, 7:6 (7:4)

ვირჟინი რაცანო (საფრანგეთი, 26) – მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 7:5, 6:1

მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) – არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 25) 6:3, 6:1

ანასტასია მისკინა (რუსეთი, 15) – მარტა მორერო (ესპანეთი) 4:6, 6:4, 6:0

პეტრა მანდულა (უნგრეთი) – მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 4:6, 6:4, 6:2

დინარა საფინა (რუსეთი) – რიტა გრანდე (იტალია) 7:6 (7:5), 6:1

როსანა ნეფა-დელოს პიოსი (პარაგვაი) – ლიუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:1, 6:4

ჟიუსტინ ენინი (ბელგია) – სამანტა რივესი (აშშ) 6:1, 6:2

ფაბიოლა ზულუაგა (კოლუმბია) – სარა ტეილორი (აშშ) 6:3, 4:6, 6:2

სერენა უილიამსი (აშშ) – კორინა მორარიუ (აშშ) 6:2, 6:3

ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი, 27) – ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:4, 6:7 (4:7), 6:2

ტატიანა გარბინი (იტალია) – ელზ კალენსი (ბელგია) 6:0, 2:6, 6:1

ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) – ეშლი კერგილი (აშშ) 3:6, 6:1, 6:1

ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) – ეილი ბეიკერი (აშშ) 4:6, 6:2, 7:6 (7:3)

ივა მაიოლი (ხორვატია, 24) – ეშლი ჰარკლროდი (აშშ) 6:3, 6:2

### ფეხბურთი

# არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ჟორდანია პირველ პრესკონფერენციას მართავს

აკა ტონია


*მერაბ ჟორდანია*

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით არჩევის შემდეგ, გუშინ, მერაბ ჟორდანიამ პირველი პრესკონფერენცია გამართა.

პირველი კითხვები 24 აგვისტოს ყრილობას შეეხებოდა.

"მიუხედავად იმისა, რომ დაძაბულობა ახლდა თან, ყრილობამ მაინც კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა და ზედმეტი დაპირისპირების გარეშე დასრულდა", - განაცხადა ჟორდანიამ. ამავე აზრის ყოფილა FIFA-ს მიერ გამოგზავნილი დამკვირვებელი მეჰმედ სპახიც. "ჩვენთან საუბარში ბატონმა სპახომ აღნიშნა, რომ დაპირისპირება არ გასცდენია ზომიერების ჩარჩოებს. ის დაძაბულობა, რაც ჩვენთან იყო, მისი თქმით, ყველა ქვეყნისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ნორმალურია", - აღნიშნა სფფ-ს პრეზიდენტმა.

საუბარი კიდევ ერთხელ შეეხო ყრილობაზე მომხდარ ინციდენტს, როდესაც დარბაზში არ შეუშვეს იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლები. ჟორდანიას თქმით, დარბაზში მყოფმა თითოეულმა დელეგატმა კარგად იცოდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების ტექსტი, რომლის წაკითხვაც სურდათ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს. "ჩვენ მტკიცედ გვქონდა გადაწყვეტილი, რომ ყრილობა საკუთარი წესდებისა და FIFA-ს მიერ დადგენილი წესების მიხედვით უნდა ჩაგვეტარებინა. ამ გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ შევცვლიდით. აღმასრულებლების დარბაზში შემოსვლა კი სიტუაციას მხოლოდ დაძაბავდა", - განაცხადა ჟორდანიამ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ არაფერი იცის იმის თაობაზე, აპირებს თუ არა დაპირისპირებული მხარე, კვლავ მიმართოს სასამართლოს. ჟორდანიას თქმით, ასეთი რამ მას არ გაუგია, მაგრამ თუ ეს მოხდება, ფედერაციისთვის დიდი მნიშვნელობა არც ამას ექნება.

სფფ-ს პრეზიდენტმა დავით პეტრიაშვილზეც ისაუბრა. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავისი ყოფილი მეტოქე კარგ პროფესიონალად მიაჩნია. "კონკრეტულად ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი ურთიერთობა ისე უნდა წარიმართოს, რომ მაქსიმალურად წაადგეს ქართულ ფეხბურთს. ორი აზრი არ არსებობს, რომ დავით პეტრიაშვილი ფეხბურთში უნდა დარჩეს. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის", - აღნიშნა ჟორდანიამ.

ის, რომ დავით პეტრიაშვილმა, ჯერ კიდევ ყრილობამდე, ბადრი პატარკაციშვილის სახით სერიოზული სპონსორი წარმოადგინა, ჟორდანიას აზრით მათ სერიოზულობაზე მიანიშნებდა. "ცხადია, ეს ჩვენი მეტოქის დიდი კოზირი იყო. არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო და კონკრეტული გვარები დავასახელო, მაგრამ გპირდებით, ქართული ფეხბურთი არც ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში დარჩება სოლიდური სპონსორის გარეშე", - განაცხადა ჟორდანიამ.

საუბარი შეეხო ფედერაციის პროგრამასაც. აღინიშნა, რომ პრიორიტეტი, კვლავინდებურად, ბავშვთა ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატს მიენიჭება.

ჟორდანიამ, გაწეული სამსახურისა და მხარდაჭერისთვის, მადლობა გადაუხადა ფედერაციის აღმასკომის ყველა წევრს, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ საჭიროა აღმასკომის განახლება. ითქვა, რომ აღმასკომის წევრთა შორის, შესაძლოა, გამოჩნდეს ახალი სახეები, მათ შორის - ბიზნესმენებიც. ცვლილებები იქნება თავად ფედერაციის კადრებშიც.

ჟორდანია შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ მომავალ მატჩსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ჩვენი გუნდის თითქმის ყველა წამყვან ფეხბურთელთან ჰქონდა საუბარი. განცდილი მარცხის მიუხედავად, თურქეთთან მატჩს სასარგებლოდ მიიჩნევს. "დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, ჩვენი ფეხბურთელები არ დათრგუნულან და საბრძოლო განწყობით ელიან შვეიცარიასთან მატჩს. თურქეთში ნაჩვენები ცუდი შედეგის გამო თითოეულ მათგანს ვუსაყვედურე, მაგრამ მათ თქვეს, რომ მომავალი მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან და გუნდის შეკრებაზე საუკეთესო ფორმაში ჩამოვლენ. ეს კი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს", - განაცხადა ჟორდანიამ.

# ოპტიმისტი ივო შუშაკი

პაატა თოთაძე


*ივო შუშაკი*

თბილისის "დინამო" ევროასპარეზს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბია. ხვალ დინამოელებს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მატჩი აქვთ ჩასატარებელი ტალინის ტვმკ-სთან. სწორედ ამას მიეძღვნა გუშინ დილმის ბაზაზე "დინამოს" მთავარი მწვრთნელის ივო შუშაკის პრესკონფერენცია.

ხორვატი სპეციალისტი თავდაპირველად საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში "ვიტ ჯორჯია" – "დინამოს" დაპირისპირებას შეეხო. შუშაკის თქმით, "დინამოს" ძლიერი მეტოქე ჰყავდა: "ვიტ ჯორჯია მაღალი დონის გუნდია. ამიტომაც გამოვიდა მატჩი ასეთი დაძაბული. მეორე ტაიმში ჩვენ სრულ უპირატესობას ვფლობდით და ის გოლიც ამ უპირატესობის ლოგიკური შედეგი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფეხბურთელები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი".

ამის შემდეგ საუბარი ესტონელებთან მომავალ მატჩს შეეხო. "ბევრი გუნდი მინახავს, რომელსაც პირველ მატჩში მოპოვებული დიდი უპირატესობა თავისი არხეინობით გაუნიავებია. ჩვენ ამას ვითვალისწინებთ და ტალინში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. რაც უნდა ითქვას, მეტოქე არაა ისეთი ძლიერი გუნდი, რომელსაც 1:4 წაგების შემდეგ ჩვენი დამარცხება შეეძლოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ მოგებას საქართველოსთვის სარეიტინგო ქულები მოაქვს, ამიტომაც, ნებისმიერ შემთხვევაში, მოგებისთვის უნდა ვითამაშოთ", - აღნიშნა შუშაკმა.

პრესკონფერენციის ბოლო ნაწილი მოთამაშეებს შეეხო. მწვრთნელის თქმით, კარლოსი და ახალაია ინდივიდუალურად ვარჯიშობენ და, თუ მატჩამდე მოიშუშეს ტრავმა, ესტონელების წინააღმდეგ ისინიც ითამაშებენ. რაც შეეხება ბურდულს, შუშაკის თქმით, ის კარგი მაგალითია სხვებისთვის, თუ როგორ არ უნდა მოიქცნენ ევროასპარეზზე: "ბურდულმა თავისი უსაქციელობით თავადაც შეიქმნა პრობლემები და გუნდსაც შეუქმნა, თუმცა, იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება. საბრძოლო ატმოსფეროს შესანარჩუნებლად ის გუნდთან ერთად გაემგზავრება ესტონეთში". რაც შეეხება სახვალიო შემადგენლობას, შუშაკი ძირითად შემადგენლობაში კანდელაკის დაყენებას ვარაუდობს. კარლოსს და ახალაიას კი, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, მოედანზე შესასვლელად რომელიმე მოთამაშის შეცვლა მოუწევთ.

# "ქაოსლაუტერნი" გამოსავალს ეძებს

ნინო პირველი

იყო დრო, გერმანული "კაიზერსლაუტერნი" ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად ითვლებოდა და "ბაიერნსა" და "ბორუსიას" პირველობას ეცილებოდა. ფრიც ვალტერის სახელობის სტადიონის ხშირ სტუმართ მოედანზე ხვდებოდა კარგად აწყობილი გუნდი, რომელიც, შესაძლოა, ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, მაგრამ გულშემატკივარს ყოველთვის საინტერესო მატჩებს სთავაზობდა. "კაიზერი" ევროასპარეზზეც წარმატებით გამოდიოდა და თავს იმითაც იწონებდა, რომ გუნდში ჰყავდა მუნდიალის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი მიროსლავ კლოზე, მაგრამ...

გასული სეზონი "კაიზერმა" მეექვსე ადგილზე დაასრულა და მხოლოდ ინტერტოტოს თასის საგზურს შესწვდა, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ დიდ წარუმატებლობად ჩათვალა. მერე ანდრეას ბრემესა და რაინჰარდ შტუმპფის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა ჩეხურ "ტეპლიცეს" ბაირიერის გადალახვა ვერ შეძლო და ინტერტოტოს თასს გამოეთიშა, რის შემდეგაც კლუბში უცნაური ანარქია დაიწყო. ერთმანეთს მტრობდა ყველა - პრეზიდენტით დაწყებული და ექიმით დამთავრებული. მალე "კაიზერსლაუტერნი" იქცა "ქაოსლაუტერნად", სადაც ყველაფერი ყირაზე იდგა. გუნდიდან გაუშვეს ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი რაინჰარდ შტუმპფი, კლუბი დატოვა პრეზიდენტმა ატცე ფრიდრიხმაც, მაგრამ ამით "კაიზერის" კრიზისი არ დასრულებულა. 9 აგვისტოს ბუნდესლიგამ აიღო სტარტი და "კაიზერის" პრობლემები კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა.

შტუმპფის წასვლის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა ანდრეას ბრემეს დააწვა მხრებზე. "კაიზერის" თავკაცს მუდმივ დაძაბულობაში უხდებოდა ცხოვრება. იტალია 90-ის ტრიუმფატორი ყოველდღე ელოდა სამუშაოდან დათხოვნას და როცა "კაიზერმა" სამ ტურში მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო, ბრემეს განკითხვის დღეც დადგა. კლუბის პატრონებს მოთმინების ფიალა აევსოთ გასულ შაბათს, როდესაც "კაიზერმა" "მიუნხენგლადბახთან" 0:3 წააგო.

ბრემე "კაიზერში" 2000 წელს მოვიდა ოტო რეჰაგელის შემცვლელად. 2000-01 წლების სეზონში "კაიზერი" და ბრემე საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ბრემეს ხელმძღვანელობით გუნდი გავიდა უეფას თასის ნახევარფინალში, სადაც ესპანურ "ალავესსთან" წააგო და ფინალს მიღმა დარჩა. ეს იყო ერთადერთი წარმატება, რასაც ბრემემ "კაიზერში" მიაღწია. ამის შემდეგ დაიწყო დეგრადაციის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. გუნდს, რომელშიც მარიო ბასლერი და მიროსლავ კლოზე თამაშობენ, გოლები ვერ გააქვს და თამაშს თამაშზე აგებს. რა თქმა უნდა, რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ სახელდობრ, რა?

როგორც ჩანს, კლუბის თავკაცობას მიაჩნია, რომ გუნდის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მწვრთნელების ცუდი მუშაობაა. კლუბიდან გაქცეულმა პრეზიდენტმა ატცე ფრიდრიხმა, რომელიც იფიცებოდა, სანამ მე "კაიზერში" ვიქნები, ბრემეს ხელს ვერავინ ახლებსო, თანამდებობაზე დაბრუნების შემდეგ პირველი, რაც გააკეთა, სწორედ ანდრეას ბრემეს გათავისუფლება იყო. მსოფლიო ჩემპიონი ანდრეას ბრემე იქცა პირველ მწვრთნელად, რომელმაც მიმდინარე სეზონში თანამდებობა დაკარგა.

ვინ იქნება ბრემეს შემცვლელი და, შესაბამისად, ვინ გახდება "კაიზერის" მხსნელი? "ქაოსლაუტერნის" ახალი თავკაცის თანამდებობაზე სამი სპეციალისტის კანდიდატურაა – ბერლინის "ჰერტას" ექსხელმძღვანელი იორგენ რიობერი, "ჰამბურგის" ყოფილი მწვრთნელი ფრანკ პაგელსდორფი და შვეიცარიული "ბაზელის" ამჟამინდელი თავკაცი კრისტიან გროსი, რომელიც ადრე "ბოხუმში" მუშაობდა. მათ შორის ყველაზე რეალური მაინც კრისტიან გროსის კანდიდატურაა, რადგან "ბაზელის" პრეზიდენტი რენე იეგი "კაიზერის" საპატიო წევრიცაა და გროსი მისი პროტეჟეა. "ბაზელს" ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი აქვს ჩასატარებელი შოტლანდიურ "სელტიკთან" და, წარუმატებლობის შემთხვევაში, კრისტიან გროსს თავისი შვეიცარიული კარიერის დასრულება მოუწევს. ასე რომ, "კაიზერს" მისი გადაბირება არ გაუჭირდება, მაგრამ აქ ერთი რამ არის საინტერესო: რაში სჭირდება კრიზისში ჩავარდნილ გუნდს ისეთი მწვრთნელი, რომელსაც "ბაზელიდან" წარუმატებლობის გამო უშვებენ? შეძლებს კი გროსი "ქაოსლაუტერნში" წესრიგის დამყარებას? "საკითხავი აი, ეს არის..."

# რონალდოს იმედები

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერსა“ და „რეალის“ პრეზიდენტებს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, რონალდო იმედოვნებს, რომ ის მადრიდულ კლუბში გადასვლას მაინც შეძლებს. „ჩემთვის არაფერი შეცვლილა. „ინტერს“ მივატოვებდი, მაგრამ არ ვჩქარობ. დაველოდები, სანამ ყველაფერი გაირკვევა“, - განაცხადა ფეხბურთელმა. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში, 21 აგვისტოს, პარაგვაის წინააღმდეგ ჩატარებული ამხანაგური მატჩის შემდეგ, რონალდო, რამდენიმე დღის განმავლობაში, იტალიაში დაბრუნებაზე თავს იკავებდა. ბოლოს მილანში მაინც ჩავიდა. „მალპენზას“ აეროპორტში მას უკვე მეორედ დახვდნენ განრისხებული გულშემატკივრები, რომლებიც „უმადურს“ უწოდებდნენ. „ბოდიში მოიხადე“, - გაჰყვიროდა აეროპორტში შეკრებილი, დაახლოებით, 100-მდე გულშემატკივარი. რონალდო იძულებული გახდა, ტერიტორია უკანა გასასვლელიდან დაეტოვებინა.

„ინტერის“ პრეზიდენტი, მასიმო მორატი კი ფიქრობს, რომ რონალდოს აზრს მაინც შეაცვლევინებს. „მიუხედავად ყველაფრისა, რონალდო გუნდთან ერთად ვარჯიშს განაახლებს, რადგან მას ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს. შემდეგ კი შევეცდებით ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგებას“, - განაცხადა მორატიმ.



*რონალდოს მოლოდინში*

REUTERS

## 8 მარტი თუ 26 აგვისტო?!

ამერიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთ კუთხეში, ქალთა დღე 8 მარტს აღინიშნება. ამ დღესასწაულს უფრო მეტი მხიარულება, ყვავილები და მილოცვები ახლავს, ვიდრე 26 აგვისტოს – ქალთა თანასწორუფლებიანობის დღეს.

უმეტესობას აღარც კი ახსოვს, ოდესღაც ამერიკელ ქალებს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ბრძოლა რომ მოუწიათ. ბრძოლა 50 წელზე მეტხანს გაგრძელდა და 1920 წლის 26 აგვისტოს ვაშინგტონში, სახელმწიფო მდივნის, ბეინბრიჯ ქოლბის სახლში დილის 8 საათზე კონსტიტუციაში მე-19 დანართის რატიფიცირებით დასრულდა. ხელმოწერამ ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ჩაიარა, კინოკამერებით და ფოტოაპარატებით შესვლა დაუშვებელი იყო. უფრო მეტიც, ცერემონიას ქალთა მოძრაობის ლიდერებიც არ დასწრებიან.

"ეს იყო ქალთა ბრძოლის კულმინაცია, ამიტომ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ხელმოწერის ცერემონიალზე დასწრების უფლება უნდა გვქონოდა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამერიკელმა ქალებმა დიდი ბრძოლა მოიგეს და ამ გამარჯვებას მათ ვერავინ წაართმევს," - აღნიშნავდნენ ქალთა ეროვნული პარტიის ლიდერები.

"26 აგვისტო ამერიკის (და მსოფლიო) ქალთა მოძრაობების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღედ ჩაიწერება. ყველა ქალი უნდა გრძნობდეს უდიდეს სიამაყეს და განუზომელ შვებას იმის გამო, რომ ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა სანუკვარი მიზნის მისაღწევად წარმატებით დასრულდა," - ამბობდნენ სუფრაჟისტები.

ქალთა ეროვნული პარტიის ლიდერებმა სახელმწიფო მდივნისგან ხელმოწერის ცერემონიის გამეორება ითხოვეს ფირზე დასაფიქსირებლად, მაგრამ ქოლბიმ ამაზე უარი განაცხადა: "მე ვფიქრობ, ქალებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭების შესახებ დოკუმენტის შემუშავება და ოცდათექვსმეტი შტატის მიერ ამ დოკუმენტის რატიფიკაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კამერების წინ პოზირება," – განაცხადა სახელმწიფო მდივანმა.

ქოლბიმ ქალებს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ ეს არის დღე, რომელიც "აღნიშნავს ახალი დიდი ეპოქის დასაწყისს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში". მანვე საზეიმო შეკრებაზე სუფრაჟისტებს პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მილოცვებიც გადასცა. ვილსონი ბედნიერი იყო, რადგან სწორედ მისი პრეზიდენტობის ხანაში მოიპოვეს ქალებმა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება.

1971 წელს სუფრაჟისტების ხანგრძლივი მშვიდობიანი გამოსვლებით, მოწოდებებით, შიმშილობის აქციებით მოპოვებული გამარჯვების დღე - 26 აგვისტო ამერიკის კონგრესმა ქალთა თანასწორუფლებიანობის დღედ გამოაცხადა. დღეისათვის ამ თარიღს ძირითადად მხოლოდ ფემინისტური მოძრაობების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ქალთა დანარჩენი ნაწილი კი მარტს ელოდება.

## სადამ ჰუსეინი და არქეოლოგიური მემკვიდრეობა

მთელი მსოფლიოს არქეოლოგებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს. კაშხალს, რომელიც ერაყელი დიქტატორის სადამ ჰუსეინის პირად განკარგულებაშია, ტიგროსისა და ევფრატის ფსკერზე ჩაძირვა ემუქრება. ეს ტერიტორია მსოფლიოს არქეოლოგიურ საგანძურში შედის. აქამდე ერაყელი დიქტატორი დასავლელი მეცნიერების წინადადებებს, რომლებიც მას თხოვდნენ, ამ არქეოლოგიური ღირებულებების მესოპოტამიის ტერიტორიებიდან გამოტანის უფლება მიეცა, იგნორირებას უკეთებდა.

## რა ბედნიერია ბრიტნი სპირსი

პირადი პრობლემები და სტრესი 20 წლის ვარსკვლავს ვერაფერს აკლებს. "ისეთი ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს," გაანდო ბრიტნი სპირსმა People Magazine-ს. მან სულ ცოტა ხნის წინათ მშობლების განქორწინება გადაიტანა და თვითონაც დაშორდა თავის მეგობარს, ჯასტინ ტიმბერლეიკს. ახლა ცოტა ხნით დასვენება აქვს გადაწყვეტილი. სპირსის თქმით, ჯასტინი მისი პირველი დიდი სიყვარული იყო და მას შემდეგ ეჭვი ეპარება, რომ საერთოდ ვინმეს შეყვარებას შეძლებს. "როგორც კი დასვენება გადავწყვიტე, უმალვე დაწერეს, რომ პრობლემებმა მომტეხა. ეს არ მესმის."

## გენერლების დაბრუნება

ბერლინის ცენტრს კვლავ პრუსიელი გენერლების ქანდაკებები ამშვენებს – პრინცესების ბაღში ორი თეთრი მარმარილოს ფიგურა აღიმართა. ეს ძეგლები ბერლინის ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილს შეადგენს, უბრალოდ, ქალაქის ცენტრში მათი არსებობა მრავალი მოქალაქის მიერ "პრუსიული მილიტარიზმის დიდებად" აღიქმებოდა. ახლა კი ქალაქის ამ "ახალ ძველ მშვენებას" ახალი დატვირთვა მიენიჭა: ესთეტიკისა და ისტორიის დამაკავშირებლის როლი.



# სამდღიანი ქეიფი ნოთინგ ჰილზე




ფესტივალი ლონდონის ქუჩებში

REUTERS

დღეს ნოთინგ ჰილი უკვე ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ევროპაში უდიდესი, ქუჩის გართობა გუშინ დასრულდა. ლონდონის ეს კოლორიტული უბანი მილიონი ცნობისმოყვარით გაივსო. ექსტრავაგანტური კოსტუმების გამო მასკარადი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა. ლონდონელებმა ამ ორდღიანი კარნავალის განმავლობაში საკუთარ თავს ყველაფრის უფლება მისცეს – "დღის წესრიგში" შედიოდა სმა, მოწევა, ეგზოტიკური კერძების დაგემოვნება, ცეკვა, სიცილი და, უბრალოდ, სიტუაციაზე დაკვირვება. ნოთინგ ჰილზე გამოფენილ მილიონ ადამიანს, ბუნებრივია, გაკონტროლებაც სჭირდებოდა და წესრიგს კარნავალზე ათი ათასამდე პოლიციელი იცავდა. თუმცა, წლევანდელი ღონისძიება წინა კარნავალებისგან კრიმინალურ შემთხვევათა მინიმალური რაოდენობით გამოირჩეოდა. სამართალდამცველებმა ალკოჰოლის, ნარკოტიკის მიღებისა და მცირედი ხულიგნობისთვის მხოლოდ 48 დამნაშავე დააპატიმრეს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მოქეიფეებთან ერთად პოლიციელებმაც მოილხინეს – ნიღბიან და საკარნავალო კოსტუმიან ლონდონელებთან ერთად, ისინიც ცეკვავდნენ. ზოგი ხუმრობდა კიდეც, რომ სამართალდამცველებზე მარიხუანას სუნმა იმოქმედა, რომლითაც ნოთინგ ჰილის ჰაერი მთლიანად იყო გაჯერებულიო. წელს მეორე ახალი პრეცედენტიც დაფიქსირდა – მარიხუანას მოწევისთვის ბევრს არ აპატიმრებდნენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბრიტანული ხელისუფლება კანაფის შესახებ კანონების შემსუბუქებას აპირებს.

ერთი სიტყვით, ახალ საუკუნეში მოდერნიზმმა ნოთინგ ჰილზეც შეაღწია. კარნავალის 40-წლიანი ისტორიის განმავლობაში ხომ ამ სამდღიან ღონისძიებას კრიმინალი და ქუჩის ჩხუბები წითელი ხაზივით გასდევდა. განსაკუთრებით კი 70-იან წლებში, როცა ფესტივალის მონაწილეებს პოლიცია უპირისპირდებოდა. ბოლოს, ნოთინგ ჰილზე მსხვერპლი ორი წლის წინ დაფიქსირდა – ხულიგნების შეტევას ორი ადამიანი შეეწირა.

პრინციპში, ამ ლონდონურ გართობას ეგზოტიკურობას კარიბული ფესვები მატებს. თავიდან მისი აღნიშვნა სწორედ კარიბული ხელოვნებისა და კულტურის გასავრცელებლად დაიწყეს. ამიტომ, ბევრისთვის კარნავალზე გამოსვლა არა მხოლოდ მოლხენაა, ისინი ნიღბებსა და საკარნავალო კოსტუმებს მთელი წლის განმავლობაში არჩევენ, დგამენ ცეკვებსა და წერენ თემატურ სიმღერებს. მონაწილეობის მისაღებად ლონდონში მოხალისეთა ჯგუფები მთელი მსოფლიოდან ჩადიან. წლევანდელი ზეიმი კი შეიძლება უკვე დასრულებულად ჩავთვალოთ. გართობის მოყვარულები უკვე მომავალი წლის "ნოთინგ ჰილისთვის" ემზადებიან...



ფესტივალის მონაწილე

REUTERS

## ნიკოლ კიდმანი ვაჭრობის განვითარებისთვის

ესპანეთის ერთ-ერთ სავაჭრო სახლების ქსელს ძალიან გაუმართლა: მის რეკლამაზე თავად ნიკოლ კიდმანი ზრუნავს. ავსტრალიელი კინოვარსკვლავის თქმით, ის ამ საქმიანობას ესპანელ რეჟისორთან, ალეხანდრო ამენაბართან მეგობრობის გამო დათანხმდა – მასთან თანამშრომლობის გამოცდილება ფილმ The Others–ის გადაღებების დროს შეიძინა.

## ძაღლი ადამიანის მეგობარია

ჯულია რობერტსსა და მის ახალ მეუღლეს, დენი მოდერს, ლოს ანჟელესის სახლის დატოვება მოუხდათ. მიზეზი ლაბრადორის ლეკვი ლუი გახდა, ჯულიას საქორწინო საჩუქარი. გაირკვა, რომ ლოს ანჟელესის ამ უბანში ძაღლის სახლში ყოლა არ შეიძლება, ამიტომ წყვილმა ბარგი ჩაალაგა – ერთი ჩემოდანი საგანგებოდ ლუისთვის – და ვენეციაში გაემგზავრა.

## პრინცესას არდადეგები

მონაკოს პრინცესა სტეფანიამ ერთი კვირა თავის შვილებთან ერთად გაატარა სამხრეთ საფრანგეთში. სოფელ ჰაუტერვილის საჯარო კემპინგის ადგილას გვირგვინოსანმა კარავი დასცა და საღამოობით სხვა დამსვენებლებთან ურთიერთობით იქცევდა თავს. დღის განმავლობაში ამ, დიდი ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ მხარეში პრინცესას ორი გასართობი ჰქონდა: ველოსიპედით სეირნობა და სოკოების შეგროვება.

## იაპონური კროსვორდი



## TV პროგრამა 28 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენე და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "შავი ქორის დესანტი"

### პირველი არხი

08.00 "მარიამობა" რეპორტაჟი სიონის საკათედრო ტაძრიდან
13.30 საქართველო არის ესე
13.55 სატელევიზიო ფილმი "მე მოვედი"
15.00, 20.00, 00.35 მოამბე
15.15 მხ. ფილმი "დავით გურამიშვილი"
16.50 50-50 17.30 დოკ. ფილმი "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი"
18.40 "ჩვენ მშვიდობა"
18.55 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე"
19.40 ბასტი-ბუბუ
21.00 "თბილისური ამბები"
21.20 მ. სეფაშვილის კონცერტი
23.10 მხ. ფილმი "ფესვები"
00.45 ტელესერიალი "ძილის წინ"
01.05 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.25 სერიალი "საზღვაო პოლიცია"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ეს ბედისწერაა"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "შეხვედრა მთაში"

### ევრიკა

10.00, 12.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
18.30 სერიალი "გუდულაის დაბრუნება", მე-2 სერია
19.30 საუბრები მწვანე გუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა
21.30 თინეიჯერი
23.30, 00.30 მხ.ფ. "აირისი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "უცხოები ამერიკაში"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 ძველი კინო. "ორნი ქალაქში"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "რისკიანი ბიზნესი"
22.15 მხ.ფ. "ანგელოზები ქალაქში"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
12.15 "მო" განმეორებით
13.45 მხ.ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "სიყვარულის ვირუსი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 მიქს-ათეული
21.45 "მოკლე სეანსი"
22.00 "ინფარმატორი"
22.30 "არასარეკლამო ათეული"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "საბოლოო სურვილები".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ამერიკელი ფსიქოპატი 2"
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "შავი ქორის დესანტი"
14.15 მხ.ფ. "მატრიცა"
17.00, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "მაიკლი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "იამაკასი"
22.30 მხ.ფ. "პიკის საათი 2"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი", 36-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო", 36-ე სერია
10.15, 18.45, 21.20, 22.00, 00.00, 00.40 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "მეწამული მოქცევა"
12.30 მხ. ფილმი "ამელი"
14.45, 20.20 "ევროპის სტადიონებზე"
15.15 მხ. ფილმი "სიჩქარე-2"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი", 37-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 37-ე სერია
19.00 დისქავერი
20.30 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
21.45 მულტფილმი "ფანი ბანისთვის უჩვეულო აღდგომა"
23.55 მხ.ფ. "მრბოლელი".
03.00 მხ.ფ. "ხელოვნური გონება".

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მხატვრული ფილმი "ლომა", 2 სერია
10.40 "რა არ ხდება"
10.50 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი "აზარტული თამაში"
14.00 ფანტასტიკა "ლეგენდა ენეოსზე"
16.15 მულტფილმების პროგრამა
17.15 მხატვრული ფილმი "კლასიკოსი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.25 მხატვრული ფილმი "შერეკილები"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "Пресс-папье"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმათციო გამოშვება ფრანგულ- ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "საიდუმლო"
03.30 მელოდრამა "ლიდერი"
05.05 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
10.40 მელოდია
11.10 ანიმაცია
11.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
11.55 "პაემანი"
12.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 "სახლიდან გაუსვლელად" კომპიუტერული ტექნიკა
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 "ობიექტივი"
20.40 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
20.45 "ბრძოლა წესების გარეშე"
21.15 "ლა-ლა-ლა"
22.10 მოკლედ... სპორტი
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
22.55 "კინოკლუბი " - "მთვარე თხრილში"
00.50 პრესის მიმოხილვა
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.45 "ბიორითმი"
02.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00 Новости.
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
10.55 "Знатоки" возвращаются. в детективе "БУКЕТ НА ПРИЕМЕ". Дело N 12.
13.00, 16.00 Новости
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ".
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СМЯГЧАЮЩИЕ ОБСТОЯТЕЛЬСТВА".
16.15 "Кумиры". Игорь Бобрин.
16.50 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК".
17.55 Многосерийный фильм "САМОЗВАНЦЫ".
19.00 Вечерние новости.
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
20.20 Смехопанорама Евгения Петросяна.
20.55 Многосерийный фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2".
22.00, 01.00 Время.
22.35 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СПОСОБНЫЙ УЧЕНИК".
23.40 Комедийный сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ".
00.35 Сериал "УБОЙНАЯ СЛУЖБА".
01.15 "Как погибнуть Наполеоном". Часть 3-я.
01.55 Триллер "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА".
02.45 Премьера сериала "ПРИШЕЛЕЦ".

### РТР

06.45 - 09.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. "УКРАДЕННЫЙ СОН". 2-я серия.
10.50 "Моя семья".
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 Ток-шоу "Цена успеха"
14.30 "Москва-Минск".
14.45 ВЕСТИ.-МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.-СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина".
16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛ ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Ирина Скобцева. Жизнь Дездемоны".
19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.55 сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. "УКРАДЕННЫЙ СОН". 3-я серия.
23.05 Сериал "ЗАКОН".
00.35 Эрик Робертс в остросюжетном фильме "ЗАКАЗАННЫЙ УБИЙЦА".
01.25 "Кинескоп"

### НТВ

07.00 Сегодня.
07.05 Утро на НТВ.
07.30 Сегодня.
07.35 Криминал.
7.00 Сегодня.
08.30 Сегодня.
08.35 Криминал.
09.00 Сегодня.
09.30 Сегодня.
10.00 Мелодрама "ПЕСКИ ВРЕМЕНИ"
11.00 Сегодня.
11.25 "Квартирный вопрос"
12.00 Экологическая "Среда".
12.20 "Вы будете смеяться!"
13.00 Сегодня.
13.20 Криминал.
13.35 "Женский взгляд" Оксаны Пушкиной.
14.00 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
15.00 Сегодня.
15.05 Ток-шоу. "Принцип "Домино".
16.40 Криминал.
17.00 Сегодня.
17.30 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
18.30 "ГРАФ МОНТЕ-КРИСТО"
19.40 Криминал.
20.00 Сегодня.
20.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
21.45 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ - 2"
23.00 Сегодня.
23.35 Боевик "ТРОЕ" (США). 10-я серия.
00.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
02.25 - 03.15 Триллер "ПРОВЕРКА НА ВЫЖИВАЕМОСТЬ".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში